გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N27 (9314) 30 სექტემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

3

ხელისუფლება ვალდებულია, საქმეც გააკეთოს და უკმაყოფილებაც აიტანოს

ნინო პატარაია: "მიზანი თანამშრომლობის გაძლიერება და გამოცდილების გაზიარებაა"

6

"ჩვენ შევძლებთ ამ მარგალიტის, სოხუმის კვლავ დაბრუნებას"

5

10

ირმა ვაშაკიძე _ 2019 წლის ფრანგული ენის საუკეთესო მასწავლებელი



მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის

ლევან კობიაშვილი რჩეულის სტადიონზე, ვალერი ფოცხვერიას საგოლე პასი და ადეკვატური ანგარიში

7

მათივე უსაფრთხოებისათვის ვალერიანე ფოცხვერია მოსახლეობას თანადგომას სთხოვს

ლევან გაბეჩავა

20 სექტემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, ქალაქ სამტრედიის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენელი თენგიზ ცაგურია, საკრებულოს წევრები, ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ შეხვედრა დროული, აუცილებელი და საქმიანი გახლდათ.

საუბარი იმ ღონისძიებების შესახებ წარიმართა, მოსახლეობის უსაფრთხოების კუთხით აუცილებლად რომ უნდა განხორციელდეს, რათა არ მოხდეს გამოუსწორებელი, მძიმე შემთხვევები, როგორიცაა ბუნებრივი აირის დაგროვება, აფეთქება და თანმდევი კატასტროფები, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, გასულ ზამთარში ხშირად ხდებოდა. სამუშაო თათბირზე "სოკარგაზის" წარმომადგენელი ვაჟა ქანთარია იმყოფებოდა, რომელიც თათბირის მონაწილეთა წინაშე ინფორმაციით გამოვიდა. აღნიშნა, რომ რიგ კორპუსებში უსაფრთხოების ნორმების აშკარა დარღვევითაა დამონტაჟებული წყლის გამაცხელებლები და გათბობის სისტემა, რაც ტრაგედიის ალბათობას ზრდის. მანვე თხოვნით მიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელმძღვანელებს, დაეხმარონ კომპანიის წარმომადგენლებს დაკეტილი, ანუ იმ ბინების მესაკუთრეებთან კონტაქტის დამყარებაში, დროებით რომ არ ცხოვრობენ კონკრეტულ კორპუსებში. აუცილებელია მოხდეს საგულდაგულო დათვალიერება ყველა ბინაშიო. მანვე რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა იყოს შემოწმებული გათბობის სისტემა და იმ წინააღმდეგობებზეც ვრცლად ისაუბრა, რასაც კომპანიის წარმომადგენლები აწყდებიან ბინების დათვალიერებისას.

"ბინები კერძო მფლობელობაშია, ჩვენ არ გვაქვს უფლება და საშუალება, გარდა მესაკუთრეთა დარწმუნებისა, რომ არასპეციალისტთა მიერ დამონტაჟებულ აირგამათბობლებს ზიანის მოტანა შეუძლია. აი, ამიტომ გთხოვეთ, რომ ერთიანი ძალით მოვაგვაროთ ეს პრობლემა, რათა არ მოხდეს ისეთი საშინელება, ამ დღეებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში რომ დაფიქსირდა". _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ და მადლობა გადაუხადა "სოკარგაზის" წარმომადგენელს თათბირზე მობრძანებისა და რეკომენდაციისათვის.

ბოლო წლებია ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები და შესაბამისად მათი ბინადარნი ხელისუფლებისაგან ყურადღების ცენტრში არიან. ეზოების კეთილმოწყობა, მოასფალტება, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ფასადების სარეაბილიტაციო, განახლებითი სამუშაოები, გადახურვა, ერთი სიტყვით, წლების განმავლობაში პრობლემა და მოსაგვარებელი ბევრზე ბევრი დაგროვდა. არავინ უარყოფს და არც არავინ შედავებია თათბირზე მუნიციპალიტეტის თავკაცს განცხადებაზე, რომ ჯერ მთავარია კორპუსები გადაიხუროს, შემდეგ კი სხვა სამუშაოები შესრულდეს. აქვე არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ გადახურვის სამუშაოების 5 პროცენტს იხდის მხოლოდ მოსახლეობა, 95 პროცენტს კი _ სახელმწიფო, რაც უდავოდ დიდი შეღავათია. საკითხებისადმი გაგებით დამოკიდებულება სთხოვა მერმა თათბირის მონაწილეებს. სამუშაოებით ერთდროულად ყველა ბინას ვერ მოვიცავთ, თუმცა უყურადღებოდ არავის დაგტოვებთო. _ აღნიშნა მან.

მომავალი წლიდან მუნიციპალიტეტში გერმანული კომპანია შემოდის, რომელიც ქალაქში წყალგაყვანილობის რეაბილიტაციას განახორციელებსო, _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ.

ერთი სიტყვით, ამაოდ არ გვითქვამს წერილის დასაწყისში, თათბირი საქმიანი იყო-თქო. 20 სექტემბერს ამ ერთ ჩვეულებრივ შეხვედრაზე საფუძვლიანად განიხილეს ყველა იმ მოსაგვარებელი საკითხის გადაჭრის გზები, რომელთა მოგვარებაც ბევრად გაუმჯობესებს თანაქალაქელთა ყოფით პირობებს. სიტყვა თათბირზე მოწვეულებმა ითხოვეს და მუნიციპალიტეტის თავკაცის წინაშე იმ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება, მათ რომ აწუხებთ.

ლაშა თევზაძის (ყოფილი გამარჯვების) ქუჩაზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაძვირდა, 20 თეთრი ღირდა და 50 თეთრი გახდა, კარგი იქნება, დილით მაინც, როცა მოსწავლეები მიდიან სკოლაში, უწინდელი ფასი შენარჩუნდესო, ქალაქში მაწანწალა ძაღლები მომრავლდნენ და პრობლემას გვიქმნიანო. ასე რომ, თათბირზე მობრძანებულებსაც იგივე პრობლემები აქვთ, რაც დანარჩენებს.

არც ამჯერად გაუცია ვალერიანე ფოცხვერიას ფუჭი დაპირებები. განმარტა მერისა და მერიის უფლებები, შესაძლებლობები და განაცხადა, რომ მასზე ბედნიერი არავინ იქნება, საშუალება რომ იყოს და სამტრედიელთა წინაშე არსებული ყველა პრობლემური საკითხი ერბაშად მოაგვარებინა.

მომავალში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის იმ წარმომადგენლებს შევხვდებით, ვინც დღეს არ მოვიდაო. _ აღნიშნა თათბირის დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა.

შეფასების წესის მიღება სტიმულია საჯარო მოხელეებისთვის

ნინო ნანიტაშვილი

16, 17 და 18 სექტემბერს ქალაქ წყალტუბოში ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით "დეცენტრალიზაციის და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან სემინარის მსვლელობაში მონაწილეობდნენ: ნონა იანიკოვი, საკრებულოს აპარატის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში და ირმა გოგია, საკრებულოს აპარატის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

"სამტრედიის მაცნე" ტრენინგიდან დაბრუნებულ საჯარო მოხელეებს დაუკავშირდა და გაეროს მიერ ჩატარებული ტრენინგის ირგვლივ შთაბეჭდილებები სთხოვა.

ნონა იანიკოვი შეფასების წესის მიღებას საჯარო მოხელეებისათვის სტიმულად მიიჩნევს: "ნებისმიერ ორგანიზაციაში აუცილებლად უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი (HR), რომელიც საქმიანობას უწევს საჯარო მოხელეების შეფასების პროცესს. ჩვენთან 2018 წლიდან ხდება საჯარო მოხელეების შეფასება _ უშუალოდ ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის. გვაქვს 4-დონიანი შეფასება. "1" ძალიან ცუდი შეფასებაა, "2" _ დამაკმაყოფილებელი, "3" _ კარგი, "4" _ ძალიან კარგი. ამ ეტაპისთვის, ანუ 2019 წელს, შეფასება ხდება კომპეტენციების მიხედვით. თითოეულ თანამშრომელს აქვს განსაზღვრული კომპეტენციები, რომელთა მიხედვითაც ხდება ქულათა შეჯამება და საბოლოო შედეგიც ასე გამოდის. წყალტუბოში ტრენინგზე გამოიკვეთა სიახლე, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელეს გაწერილი ექნება თავისი ფუნქციები. რომელთა მიხედვითაც და კომპეტენციების გათვალისწინებით მოხდება მათი შეფასება. ამ შემთხვევაშიც ფუნქციებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით უნდა გამოვიყვანოთ საბოლოო შეფასება. სემინარის ხელმძღვანელებმა თეორიული მასალები მოგვაწოდეს, უახლოეს დღეებში ველოდებით მათგან ინსტრუქციებს, რომლების მიხედვითაც გაიწერება კომპეტენციები, ფუნქციები, სამუშაო გეგმა. 2019 წლის 20 დეკემბრისთვის უნდა იქნეს მიღებული შეფასების წესი, რომლითაც 2020-ში ვიხელმძღვანელებთ. ტრენინგზე გაგვამახვილებინეს ყურადღება, რომ შეფასებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს შემდგომი შესაბამისი რეაგირება. "1-იანი" და "ცუდი" ითვალისწინებს სამსახურიდან გათავისუფლებას, "2-იანი" დამაკმაყოფილებელია, რომლის შემდეგაც საჯარო მოხელეს სჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება. "3-იანის", ანუ "კარგის", შემთხვევაში შეგვიძლია გამოვუცხადოთ მადლობა და მივცეთ დანამატი. ჩემი აზრით, საჯარო მოხელეებისათვის შეფასების წესის მიღება სტიმულია, აუცილებელია დაინერგოს და ობიექტურად მოხდეს ამ ყველაფრის განხორციელება".

ხელისუფლება ვალდებულია, საქმეც გააკეთოს და უკმაყოფილებაც აიტანოს

თეა ბაბუნაშვილი

სამტრედიაში ვიზიტის მიზეზად ზვიად შალამბერიძემ, იმერეთის მხარის რწმუნებულმა, უშუალოდ მოსახლეობისგან იმ საკითხების მოსმენა დაასახელა, დღემდე პრობლემად რომ აქვს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიასა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას თანხლებით, იგი დიდი ჯიხაიშისა და მაღალმთიანი გალმა ზონის მცხოვრებლებს შეხვდა. ვერ ვიტყვით, რომ მოსახლეობა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოხატავდა, თუმცა, არაერთ საკითხთან მიმართებაში მწვავე საუბარიც მოისმინეს პასუხისმგებელმა პირებმა. უსიამოვნო კითხვებზე პასუხის გაცემაც მოუწიათ, მაგრამ როგორც ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა, ფუჭი დაპირებები საარჩევნოდაც კი არ გაუცია და არც სამომავლოდ აპირებს ამის გაკეთებას. "სოფელი ერთად არსად აშენებულა. ახლაც ასე იქნება, ერთდროულად ვერა, მაგრამ ეტაპობრივად ყველა პრობლემას მოვაგვარებთ. პირველად შეხვედრები რომ დავიწყეთ, მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრობლემაზე იყო მოსახლეობა თითქმის ყველა სოფელში მობილიზებული. მისი მოგვარების შემდეგ, სხვა საკითხებმაც იჩინა თავი. დიახ, გასაკეთებელი ბევრია და საჭიროება მოითხოვს, რომ პრობლემები მოგვარდეს, მაგრამ უმადურები არ უნდა ვიყოთ, უნდა დავინახოთ ის, რაც კეთდება. ჩვენი მხრივ ხელისუფლება არსად გაურბის საკუთარ პასუხისმგებლობას და აცნობიერებს, რომ საბოლოო კეთილდღეობამდე ჯერ ისევ შორსაა."

დიდი ქართველის, ნიკო ნიკოლაძის სოფელ დიდი ჯიხაიშში საუკუნის შემდეგაც რომ ატყვია ნიკოს მისწრაფებები, მის მიერ დაარსებული აგრარული კოლეჯის აღდგენის საკითხზე ესაუბრნენ ზვიად შალამბერიძეს. მას საკითხის წინ წამოწევა და კურირება სთხოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის დირექტორმა ნუგზარ მიქაძემ: "გზაც გაკეთდება და ბოგირიც, მაგრამ ამ კოლეჯის აღდგენა გაცილებით დიდ საქმედ მიგვაჩნია. ამით მთელი სოფელი კმაყოფილი იქნება. იყო დრო, ამ სასწავლებელში, რომელიც 2010 წელს სრულიად უმართებულოდ გააუქმეს, 1000-მდე სტუდენტი და 300 კვალიფიკაციის ამაღლების მსურველი ჩადიოდა და გადმოდიოდა, რომ არაფერი ვთქვათ პედაგოგებსა და მეცნიერ-მუშაკებზე. მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გია მიქელაძემაც დააყენა ეს საკითხი. გვინდა, მნიშვნელოვანი ძვრების იმედი გვქონდეს." ზვიად შალამბერიძე საკითხით დაინტერესდა და პრემიერთან შეხვედრისას თემის წამოწევას დაჰპირდა მას.

გარდა ამისა, მოსახლეობამ ყაზბეგის უბანში 1800 მეტრზე გზის დაგების საკითხი დააყენა, რომელიც უმოკლესი გზაა ქუთაისთან დასაკავშირებლად. "კომუნისტების დროს 8 წლის ვიყავი, ეს გზა რომ დაიგო, 48-ის ვარ ახლა და უკვე რამდენი ხანია, გაფუჭებულს პატრონი არ გამოსჩენია, არადა, გაძვირებული ბენზინის ეკონომიას რომ თავი დავანებოთ, ცენტრალური გზიდან 45 კილომეტრია ქუთაისამდე, აქედან კი _ 14. იქნებ, პირველ რიგში, ამ გზას მივხედოთ." _ აცხადებდა ერთ-ერთი დიდ ჯიხაიშელი. გამოთქვეს გაუქმებული კულტურის სახლის აღდგენის სურვილი. გარდა ამისა, დიდ ჯიხაიშში არის კეთილმოწყობილი სტადიონი, მაგრამ მის ირგვლივ მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, რომელიც ერთ დროს გამართული სპორტული ბაზა გახლდათ. მოსახლეობას ახალგაზრდების სოფელში დასამკვიდრებლად ამ სპორტულის ბაზის აღდგენის იმედიც აქვს.

შედარებით ხმამაღალი გახლდათ მოსახლეობის ტემბრი ტოლების თემში. საყვედურები არც სოფლის მეურნეობის მინისტრისა და სამინისტროს მისამართით ილეოდა და არც სხვა სტრუქტურებს ემადლიერებოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, თემში მერის რწმუნებულმა ილია მჟავიამ შეახსენა თანასოფლელებს, რომ ტოლებში სახელმწიფოს მიერ 6 მილიონი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა სამუშაოზე. ის, თუ რაში დაიხარჯა ეს სოლიდური თანხა, მუნიციპალიტეტის მერმა გაახსენა შეკრებილებს: "გვეუბნებოდით, ხიდს ვერ ააგებთო, რამდენიმე ათეული წელი დანგრეული რომ იყო, ავაგეთ, მილიონ ლარზე მეტი დავხარჯეთ, ამბობდით, გაბიონს ვერ გააკეთებთო, წყალს რომ მიჰქონდა სოფელი, გავაკეთეთ. გზას ვერ გაიყვანთო, გავიყვანეთ. ჰოდა, ყველა პრობლემას ერთდროულად ვერ მოვერევით, ეტაპობრივად ყველაფერს მოვაგვარებთ." მიუხედავად ამისა, მაინც არ ცხრებოდა მოსახლეობა და იმ ახალგაზრდასაც არ მისცეს საუბრის გაგრძელების საშუალება, ამ სოფლის სიძე ვარ მეზობელი სოფლიდან და ამ ხალხს ტაშით უნდა დავხვდეთო, რომ შემოუძახა შეკრებილებს. ბოლოს, თქვენ არ დაუკრათ, მე დავუკრავ ტაშს მარტოო და იძულებული გახდა იქაურობა დაეტოვებია. არც გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტების ოჯახი ცხრებოდა: "კიდევ სად წავიდე და გადავსახლდე, ავტობანის მშენებლობისთვის ისე გამოაცალეს მდინარეს ქვიშა და ხრეში, ხევისწყალის ყოველ ადიდებისას ჩემს ეზოში თევზაობა შეიძლება და ცოტა თუ მოუმატა, წყალს მივყავარ." გარდა ამისა, მწვავედ დააყენეს ზემო ტოლებში გზის მშენებლობის საკითხი. ტოლების საჯარო სკოლა, რომლის შენობაც წლების წინ დაიწვა და რომელსაც გალმა ზონაში ყველაზე მეტი მოსწავლე ჰყავს, კოლმეურნეობის საერთო საცხოვრებელსაა შეხიზნული. არატიპურ შენობაში სასწავლო პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს. სკოლის დირექტორმა ტიპური შენობის აგების საკითხი დააყენა. ვალერიანე ფოცხვერიამ მას განუმარტა, რომ სამტრედიაში ასაშენებელი მხოლოდ ორი სკოლაა, აქედან ერთი ტოლებისა გახლავთ და მშენებლობის საკითხი ახლო მომავალში მოგვარდება. განათლების სამინისტროსთან არ სჭირდება ამ თემას დიდი პროტექცია, რადგან განათლება პრიორიტეტადაა აღებული და პრობლემას მოევლება. სამუსიკო სკოლის მიღწევებზე ისაურა ტოლების სამუსიკო სკოლის პედაგოგმა და იქვე ძველ ადმინისტრაციულ სახლში შეხიზნული სამუსიკო სკოლის ელემენტარული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება ითხოვა. იგივე თხოვნა ჰქონდა რწმუნებულთან ამ სამუსიკო სკოლასთან ერთთად ძველ შენობაში შეფარებულ საბავშვო ბაღის მმართველსაც.

გზა და წყალი გორმაღლის თემში ისევ და ისევ პრობლემად რჩება. ტოლებისთანა ხმაური არა, მაგრამ სიმშვიდეც არ ყოფილა გორმაღლელებთან შეხვედრისას. ბუნებრივი აირის მოგვარებული პრობლემა შეახსენა ველერიანე ფოცხვერიამ გორმაღლელებს. ახლა გზა და წყალი თუ დაემატება, სოფლით დამსვენებლებიც დაინტერესდებიან და ტურიზმის განვითარებაზეც შეგვიძლია ფიქრიო. _ შეახვედრეს მის სიტყვებს იქაურებმა. სოფლის პროგრამით გზაზე გაკეთებული განათების მალევე ჩაქრობის საბაბი აინტერესებდათ იქაურებს. საერთო მრიცხველი ყოფილა ამის მიზეზი, რომელიც მალე დამონტაჟდება და გზა კვლავ განათდებაო, _ აუხსნა მათ თემის მაჟორიტარმა გრიგოლ ჩიგოგიძემ. განსაკუთრებით მწვავე საუბარი მდინარეზე საცალფეხო ხიდის აგების საკითხს მოჰყვა, მოგვეხმარეთ, ჩვენი ძალებით გავაკეთებთო. ვალერიანე ფოცხვერიამ შეკრებილებს აუხსნა, რომ კუსტარულად ხიდის აგების უფლებას ვერ მისცემდნენ, მის კაპიტალურ მშენებლობას კი სოლიდური თანხები სჭირდება, რაც მოგვიანებით, მაგრამ იმედია, მაინც გამოიძებნება.

"ხშირად გაიგონებთ, კომუნისტების დროს კეთდებოდაო. მაშინ რომ ჰქონდა იმდენი ბიუჯეტი რომ ჰქონდეს დღეს სამტრედიას, წყალიც მოწესრიგდებოდა, გზასაც გავიყვანდით და ხიდსაც ავაგებდით. მაშინ უფრო დიდ სახელმწიფოში ვცხოვრობდით და მმართველობის სხვა სისტემა იყო. დიახ, ხელისუფლება ვალდებულია საქმეც გაკეთოს და უკმაყოფილებაც აიტანოს, მით უმეტეს, რომ ხალხი ხელისუფლებით კმაყოფილი ნაკლებადაა, მაგრამ ჩვენ ახლა მოსახლეობის შენიშვნები მოვისმინეთ და ყველანაირად ვეცდებით, მომდევნო შეხვედრებამდე შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ ისინი. რაც არ მოესწრება, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც შესრულდება." _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და დასძინა, ჯერ ისევ ახლად დანიშნულ სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად ყველა სოფლის შემოვლა იგეგმებაო. აგრეთვე განაცხადა, რომ ყველა იმ პროექტზე მუშაობა, რაც სტიქიამ დაზიანა, ერთ კვირაში დაიწყება.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ხაზი გაუსვა, რომ ამგვარი შეხვედრების ძირითადი მიზანი უშუალოდ საზოგადოებასთან შეხვედრაა. "ერთია, რასაც კაბინეტში წყვეტ და სხვაა, პრობლემას უშუალოდ ხალხისგან რომ მოისმენ. მათი პრეტენზიები მართებულია და ვეცდებით, ამ პროდუქტიული შეხვედრების პარალელურად დავიწყოთ იმ საკითხებზე მუშაობა, დღეს რომ პრობლემებად დაგვისახელეს. თუმცა, ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, ეს ცხადია, მაგრამ მოუგვარებელს არც ერთ საკითხს არ დავტოვებთ." _ ზვიად შალამბერიძე ამ სიტყვებით დაემშვიდობა სამტრედიის მუნიციპალიტეტს სხვა სოფლებში გასამართ შეხვედრებამდე

ბაგა-ბაღების მეთოდისტებისათვის სემინარი ჩატარდა

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში 25 სექტემბერს მეთოდისტების თათბირ-სემინარი გაიმართა.

სემინარს ესწრებოდნენ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა, მოადგილე მარინა შენგელია და ქალაქის ბაგა-ბაღების მეთოდისტები. დღის წესრიგში სემინარის 1-ლ საკითხად განიხილეს ‘‘ახალი სასწავლო წლის სამუშაო პაკეტი’’.

მარინა შენგელიამ სემინარის მსვლელობის დროს აღწერა შემცველობა იმ ახალი სასწავლო პაკეტისა, რომელსაც განახორციელებენ საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობის დროს.

ეს არის აღმზრდელისთვის სასწავლო კალენდარული გეგმა, შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა, შეფასების ფორმა და შესრულებული სამუშაოს წლიური აღრიცხვა მეთოდისტების მიერ, აგრეთვე, ახალი სასწავლო წლის ახლად შემუშავებული მეთოდური გეგმა.

სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ სიახლეს, როგორიც არის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა ბაგა-ბაღებში. გაცნობილ იქნა მისი ფუნქციები და მოვალეობები. საკონსულტაციო საბჭოების წევრების მომზადება საბავშვო ბაღების ერთობლივი მართვისათვის ეფექტური და ნაყოფიერი იქნება.

სემინარზე მოსმენილი ყველა სიახლე მიღებულ იქნა ახალი სასწავლო წლის მუშაობისათვის.

საყოველთაო ნათლობა

შეუძლებელია, ერთ პუბლიკაციაში ამომწურავად ისაუბრო იმ მამულიშვილურ საქმეზე, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით რომ აღსრულებულა.

ამ დღეებში საყოველთაო ნათლობის მე-60 ეტაპი გაიმართა და კიდევ 800-მდე ბავშვი გახდა მისი უწმინდესობის ნათლული. ამჟამად პატრიარქს 45 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს. ამჯერად არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გენოფონდისათვის ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადებას. შეგახსენებთ, პატრიარქის გადაწყვეტილებით მისი ნათლული ყოველი მესამე და შემდგომი შვილი ხდება.

ლევან გაბიჩავა

რკინიგზის საერთაშორისო დღე

10 ოქტომბერს ქართველი ერი რკინიგზელებთან ერთად ზეიმობს რკინიგზის 147 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს რკინიგზელები დაუღალავი შრომით ხვდებიან ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. საქართველოში რკინიგზისა და სარკინიგზო სადგურების მშენებლობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის განვითარებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სავაჭრო სამრეწველო დაბების გარდაქმნისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობისათვის პირველი ცნობები მოცემულია მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, დახასიათებულია სატრანსპორტო გზის მდგომარეობა ბაქო-ფოთის მიმართულებით, ხოლო 1857 წელს დაისვა საკითხი ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანის შესახებ. წინადადების ავტორები ამტკიცებდნენ, რომ რკინიგზა მოახდენდა ამ მხარის გარდაქმნას ყველა მიმართულებით. რუსეთის იმპერატორმა მოიწონა ეს წინადადება და ნება მისცა მეფისნაცვალს მშენებლობისათვის საჭირო თანხის მოსაძიებლად, პროექტი 49 მილიონი მანეთი ჯდებოდა. 1864 წლის 7 სექტემბერს კავკასიის კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა ფოთიდან უნდა დაწყებულიყო. სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით შავი ზღვისკენ მიმავალ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო მტრის პირველი შეტევა (ამ შემთხვევაში თურქეთი) ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. ასევე მხედველობაში ჰქონდა რუსეთს მისი ეკონომიკური მნიშვნელობაც, როგორც სატრანზიტო გზის. როგორც ცნობილია, პირველ რკინიგზას საფუძველი ჩაეყარა 1825 წელს ბრიტანეთში, სტოქტონსა და დარგიტს შორის გაიარა პირველმა თბომავალმა. რუსეთში კი, პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შორის _ 1837 წელს. 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე (შორაპანი), ხოლო შემდეგ თბილისამდე პირველი მატარებელი ფოთიდან თბილისში ჩავიდა 1872 წლის 10 ოქტომბერს. თბილისი-ფოთის რკინიგზა გადაიქცა მთავარ სამიმოსვლო სავაჭრო გზად.

საქართველოში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ახალი სამრეწველო-სავაჭრო პუნქტები და ქალაქები: ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, სენაკი და სხვა, რომელთა ირგვლივ მოსახლეობა იწყებს დასახლებას. იწყება ამ დაბებსა და ქალაქებში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ხოლო სულ მოკლე დროში 1883 წელს აშენდა სამტრედია-ბათუმის მაგისტრალი, ქუთაისი-რიონი. იმავე წელს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისი-ტყიბულის გზის მშენებლობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. მშენებლობა 4 წელიწადში დამთავრდა.

სურამის უღელტეხილზე რთული რელიეფის გამო შეფერხებით მოძრაობდა შემადგენლობა და 1886 წელს იწყება წიფის გვირაბის მშენებლობა, რომელიც 4 წელიწადში დასრულდა ინჟინერ ფროლზევსკის ხელმძღვანელობით. 1890 წლის 16 სექტემბერი დღესასწაულად გამოცხადდა, გაიმარჯვა გონებამ და ტექნიკამ ბუნების ძალებზე. ამ დღიდან ამიერკავკასია გახდა ნავთობის მაგისტრალი. 1895 წელს გაიხსნა ჭიათურის განშტოება, საიდანაც დაიწყო ოქროს წიაღის (მარგანეცის) გადაზიდვა ფოთის პორტში, ასევე გრძელდება რკინიგზის მშენებლობა 1927 წელს სენაკი-ინგირი-ზუგდიდი.

1932 წელს _ ინგირი-ოჩამჩირე, 1938 წელს _ ოჩამჩირე-სოხუმი, ხოლო შემდეგ ადლერამდე. ლიანდაგის მშენებლობასთან ერთად შენდებოდა სადგურები, ‘‘საორთქლმავლო’’, სავაგონო დეპოები და სხვა საწარმოები.

1932 წელს პირველ ელექტროწევაზე იქნა გადაყვანილი სურამის უღელტეხილი ხაშურიდან ზესტაფონამდე, ხოლო 1936 წელს _ ზესტაფონი-სამტრედია. 1941 წელს მთლიანად დაიწყო რკინიგზის მაგისტრალის ელექტროფიკაცია, რომელმაც ერთიორად დააჩქარა მატარებელთა მოძრაობა და ტვირთბრუნვა. 1970-80-იანი წლებისათვის დაინერგა ახალი ტექნიკა, განვითარდა სადგურები, მთლიანად გადავიდა ექსპლუატაციაში მეორე სარკინიგზო ხაზი _ ქოლობანი-სამტრედია-ზესტაფონი-თბილისის უბანი.

დღეს რკინიგზაზე დასაქმებულია ათასობით ადამიანი. ქვეყნის ბიუჯეტში შედის ათასობით მილიონი ლარი. ყველა რკინიგზელსა და საქართველოს ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს ეამაყება, რომ დღეს საქართველოს რკინიგზა გამართულად მუშაობს. საქართველოს რკინიგზის მაგისტრალი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილია. დიდი აბრეშუმის გზა და საქართველოს რკინიგზა ურთიერთთანმხვედრი ცნებებია. დიდია რკინიგზის სტაბილური და გამართული მუშაობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში. რკინიგზის სამტრედიის სადგური ყოველდღიურად ატარებს 30 სახალხო და 18-20 სატვირთო მატარებელს. უავარიოდ და უწუნოდ მუშაობს სადგურისა და რკინიგზის სამტრედიის კვანძზე არსებული საწარმოები. ლოკომოტივებისა და ვაგონების წარმადობა, მათი კაპიტალური შეკეთების დავალება 105%-ით არის შესრულებული, ლიანდაგის ბალური შეფასება _ 100%-ით. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა სალიანდაგო მეურნეობას ქუთაისი-ტყიბულის უბანზე. ელექტროფიკატორებმა და ელექტროსამონტაჟო საწარმოებმა მთლიანად განაახლეს საკონტაქტო ქსელი ოზურგეთი-ნატანების უბანზე. ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება სადგურ ‘‘სამტრედიის’’ ვაგზალი. მისი ტერიტორია ბაღნარად არის ქცეული.

ვულოცავთ სამტრედიელ რკინიგზელებს რკინიგზის საერთაშორისო დღეს!

რევაზ შამათავა

"ჩვენ შეიძლებთ ამ მარგალიტის, სოხუმის ყელად დაბრუნებას"

ნათია ნაცვლიშვილი

მდუმარედ, გამშრალი ცრემლით და გახევებული მზერით, უკვე ოცდამეექვსედ მიაქვთ დედის ძეგლთან და გმირთა მემორიალთან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მკვიდრთ ყვავილები და ანთებენ სანთლებს გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად! სოხუმის დაცემის 26 წლისთავს აღნიშნავს საქართველო, ომის მსხვერპლს გლოვობს და ზამთარში ფეხით გადმოლახული ჭუბერის ტკივილს იხსენებს, გზადაგზა ყინვაში გათოშილი თუ შიმშილით დახოცილი ადამიანების გახსენება ზარავს!

ამ ტრაგიკულმა თარიღმა გააერთიანა მუნიციპალიტეტის ხელისუფლება და საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანები. მათ გვირგვინით შეამკეს გმირთა ხსოვნის მემორიალი. ხუთჯვრიანი დროშა კი იმ მუხლმაგარ ბიჭებს უჭირავთ ხელში, სამამულე რქად რომ მოვიაზრებთ და ხვალინდელ საქართველოს გადავაბარებთ! ამ თაობას მხოლოდ რუკაზე თუღა უნახავს აფხაზეთი, დღევანდელობის მძიმე ყოფიერების საზრუნავთა გამო უნებლიედ განდევნილა ოდესღაც ორ სიტყვაში მოქცეული ლოზუნგიც: "გვახსოვდეს აფხაზეთი!"

"ალბათ, ამ ხნის განმავლობაში ერთი რამ ნამდვილად ვისწავლეთ, რომ ომი ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, გვაქვს გმირობის უამრავი მაგალითი. მიუხედავად იმისა, ეს წაგებული ომია, ერთი საამაყო გვაქვს: მრავალი თავგანწირვა ვიხილეთ ჩვენი მებრძოლების, ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც უნდა იყოს ნიშანდობლივი, რომ ჩვენი თანაცხოვრება აუცილებელია, კავკასიელები ვართ თანამოძმეები. ჩემთვის აფხაზი, როცა ერთად ვცხოვრობდით, ნიშნავდა ქართველს და ალბათ, ასე იყო აფხაზისთვისაც. აფხაზეთი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, მუქარის ქვეშ ცხოვრება არ შეიძლება, ჩვენ ჩვენს ტერიტორიებს არ დავთმობთ, აფხაზეთი, ეს საქართველოა, სხვისი ხელი რომ არ ჩარეულიყო, აფხაზი და ქართველი დიდი ხანია საერთო ენას გამონახავდნენ. მგონია, დღესდღეობით უკვე ხვდება ორივე მხარე ამას და იმედი უნდა ვიქონიოთ, 26 წლის განშორების შემდეგ დადგება სანუკვარი დრო, ჩვენ თუ არა, მომავალი თაობები მაინც მოესწრებიან, რომ ერთიან სივრცეში, ერთ ქვეყანაში იცხოვრონ, რომელსაც ერქმევა ქართველებისა და აფხაზების სახელმწიფო, როგორც იყო თავიდანვე, დავით აღმაშენებლის დროს, ამის დიდი იმედი მაქვს."

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

_ " ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის სოხუმის დაცემა არის უდიდესი ტრაგედია, ყოველთვის მქონდა და დღესაც ვინარჩუნებ იმედს, რომ ჩვენ შევძლებთ და მოვახერხებთ სოხუმის, ამ მარგალიტის კვლავ დაბრუნებას საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამისთვის ძალიან დიდი ბრძოლა და შემართება გვჭირდება."

მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ის ადამიანებიც არიან, საკუთარ ბიოგრაფიაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობაც რომ უწერიათ.

27 სექტემბერს, ჯვართამაღლების და სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღეს "სამტრედის მაცნემ" ხელისუფლების უმაღლეს პირებს მიმართა კითხვით, რა განწყობით ხვდებიან ისინი საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს თარიღს:

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია:

ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

_ "1993 წლის პირველი აპრილიდან ივლისის ბოლომდე ვიმყოფებოდი სოხუმში, ეს ძალიან მძიმე პერიოდი იყო, ქედს ვიხრი სოხუმის მოსახლეობის, ყველა გმირის, დაღუპული მებრძოლის წინაშე, რომელთაც, მართლაც, უძვირფასესი განძი _ სიცოცხლე გაიღეს სამშობლოსთვის და დარჩნენ მარად ჭაბუკებად. ეს დღე მწუხარების, გლოვის უახლესი ისტორიის უმძიმესი დღეა, 300 ათასამდე ლტოლვილი, 100 000-მდე დაღუპული ადამიანი... 26 წელი გავიდა, მოვიდა თაობა, რომელმაც თავისი მშობლიური კუთხის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულად, გადმოცემით იცის, არ მინდა ჩამომართვათ ზედმეტობაში, ეს დღე რომ ახლოვდება, ვფიქრობ ხოლმე, იქნებ ჯობდა, ჩვენი ის ნაწილი, ვინც საბრძოლო წინა ხაზზე ვიმყოფებოდით, იქვე დავრჩენილიყავით!"

დავით ბახტაძე, მუნიციპელიტეტის მერის მოადგილე:

_ "რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე განწყობით მოვედით აქ, ამ 26 წლის მანძილზე არ განელებულა ტკივილი, ეს უდიდესი დანაკარგია საქართველოსათვის. არაჩვეულებრივი, ყველაზე წარმომადგენლობითი საზოგადოების ნაწილი, უამრავი პატრიოტი ახალგაზრდა დაიღუპა, ბევრი რამ გვაკავშირებს ამ ტრაგიკულ დღესთან. ცნობილი ვიდეოკადრები, სოხუმის დაცემის ბოლო წუთებში ბატონი ჟიული შარტავასი, სოხუმის მერ გაბისკირიასთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, ეს გმირულად დაღუპული ადამიანები თვალწინ მიდგანან ამ დღესთან ერთად! მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჯვართამაღლებაა და ქრისტიანული დღესასწაულია, ეს ტკივილი არ ნელდება და არც განელდება მანამ, სანამ არ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს, რომ გაღებული მსხვერპლი არ ჩაითვალოს ფუჭად გაღებულად. მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი პატივისცემა იმ გმირების მიმართ. უკვე 26 წელი გავიდა, თაობა აღიზარდა 1993 წლის შემდეგ, რომელმაც არ იცის ის სითბო, ის ურთიერთობები, ჩვენსა და ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის რომ იყო, ალბათ, ამ 26 წლის მანძილზე რაც გაკეთდა და რაც კეთდება ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, არ არის საკმარისი, მეტი გონიერება გვმართებს, მეტი გულმოდგინე შრომა, არ აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფო სამსახურში ხარ თუ კერძო ბიზნესში. ჩვენი კეთილსინდისიერი შრომით, დიპლომატიური გზების გამოყენებით ზომებია სასწრაფოდ მისაღები, რომ მოხდეს ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნება, ვულოცავ თქვენს მკითხველებს ჯვართამაღლებას და ვუსურვებ, მომავალი ჯვართამაღლება გვეზეიმოს სოხუმში!"

ნინო პატარაია: "მიზანი თანამშრომლობის გაძლიერება და გამოცდილების გაზიარებაა"

ნინო ნანიტაშვილი

დაამთავრა წმ. ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური საშუალო სკოლა. 2006 წელს გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

*სამაგისტრო სწავლების მეორე წელს (2012 წელს) გადაწყვიტა, ევროპისაკენ აეღო გეზი და სასწავლებლად წავიდა დიდ ბრიტანეთში, ინგლისში, ქალაქ ლონდონში, სადაც **Oxford College Of London**-ში გაიარა სამაგისტრო პროგრამა **Strategic Management and Leadership**-ის მიმართულებით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაასრულა კერძო სამართლის მიმართულებით სამაგისტრო სწავლების საფეხური.*

2011 წლიდან დღემდე მუშაობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით. დღემდე არის რამდენიმე საერთაშორისო სასწავლო პროექტის კოორდინატორი.

2017 წლიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტია და მუშაობს სამეცნიერო კვლევაზე კერძო სამართლის მიმართულებით.

სხვადასხვა სემესტრში ლექციებს კითხულობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტებში კერძო სამართლის მიმართულებით საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის.

გვეამაყება, რომ ეს გზა აქვს გავლილი წარმოშობით სამტრედიელ ახალგაზრდა ქალბატონს, ღირსეული მშობლების, ინჟინერ ნუგზარ პატარაიასა და პედაგოგ ლია ნიკურაძის, შვილს, ნინო პატარაიას. ის ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსია.

ამ დღეებში სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლიდანაც შევიტყვეთ, რომ საქართველოში საქმიანი ვიზიტით მყოფი ესტონელი კოლეგის ერთ-ერთი მასპინძელი სწორედ ჩვენი თანამემამულე ნინო პატარაია გახლდათ.

ვიზიტის მიზნებზე სასაუბროდ "სამტრედიის მაცნე" ნინო პატარაიას დაუკავშირდა:

"სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (CEPOL) ყოველწლიურად ახორციელებს გაცვლით პროგრამას, რომლის მიზანია სამართალდამცავ უწყებათა თანამშრომლობის გაძლიერება და წარმატებული გამოცდილების გაზიარება. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის "CEPOL-ის" წევრი ქვეყნები ირჩევენ პრიორიტეტულ თემატურ მიმართულებებს, არჩევენ კანდიდატებს და აგზავნიან "CEPOL-ის" საორგანიზაციო გუნდთან, რომელიც შემდეგ პოულობს მასპინძელ ქვეყანას მოთხოვნების შესაბამისად. ასევე შესაძლებელია, რომ შესაბამისი უწყების მიერ ნომინირებულმა კანდიდატმა წინასწარ მიუთითოს მისთვის სასურველი ქვეყანა, უწყება და დასაწყვილებელი კანდიდატის ვინაობა ასეთის არსებობის შემთხვევაში (ე. წ. "Pre-matching").

ყოველი გამგზავნი ქვეყანა ასევე მასპინძლობს საპასუხო ვიზიტს. თუ მონაწილე გაცვლითი პროგრამით მიდის რომელიმე ქვეყანაში, იგი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მის კოლეგას აღნიშნული ქვეყნიდან, თავის მხრივ, უმასპინძლოს საკუთარ ქვეყანაში. ამავდროულად ყოველი გაცვლა უნდა განხორციელდეს ერთ კონკრეტულ თემაზე.

მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საჭიროების გამოვლენასა და მათ დამკვიდრებაზე, რაც გულისხმობს იმ რეგულაციების, პროცესებისა და პროცედურების დანერგვას, რომლებიც აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან მიმართებით სწავლების ხარისხის მაღალ დონეს უზრუნველყოფს და გაამყარებს აკადემიის მენეჯმენტის სისტემას". _ უამბობს ნინო პატარაია "სამტრედიის მაცნეს".

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის ივნისში განხორციელდა შსს აკადემიის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში ჯგუფის უფროსის, ნინო პატარაიას, ვიზიტი ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემიაში (Estonian Academy of Security Science), ქალაქ ტალინში, ხოლო საპასუხო ვიზიტით კი სექტემბერში აკადემიას ეწვია ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემიის სტუდენტურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინა კარუ.

"ვიზიტის მთავარი მიზანი ესტონეთის გამოცდილების გათვალისწინებით სწავლების ხარისხის განვითარებისა და სისტემატიზირებული უზრუნველყოფის თვალსაზრისით პრაქტიკული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა იყო: ესტონეთში არსებული სასწავლო პროცესისა და სწავლების მონიტორინგის სისტემასთან პარალელების გავლება, არსებული სისტემის ეფექტურობის გაცნობა, ახალი ერთობლივი იდეების განხორციელება სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან. სწავლების ხარისხის შესახებ ინფორმაციათა ურთიერთგაცვლა ესტონელ კოლეგასთან და გამოცდილების გაზიარება სამომავლოდ დაეხმარება აკადემიას სასწავლო პროცესების, შეფასების სისტემისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებაში.

გარდა ამისა, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიც მოინახულა და მათი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. ვიზიტის ფარგლებში თინა კარუ ეწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "112-ს", საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ერ-

ოვნულ ცენტრს.

სტუმრები შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "112-ის", ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და ასევე საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის მუშაობას გაეცნენ. ინფორმაცია მიიღეს ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო უსაფრთხოების მხრივ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა სსიპ "112-ის" ქოლცენტრი და საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის სერვისცენტრი დაათვალიერეს; დაესწრნენ ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის პროცესს". _ ნინო პატარაია ასე აღგვიწერს თინა კარუს ვიზიტს საქართველოში, კერძოდ, "112-ში".

კვირეულის ბოლო შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ერ-

მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის

ლევან კობიაშვილი ჩხენიშის სტადიონზე, ვალერი ფოცხვერიას საგოლე პასი და ადეკვატური ანგარიში

თეა ბაბუნაშვილი

საფეხბურთო განწყობა სამტრედიელებმა ჩხენიშში იმ დღეს გახსნილ საფეხბურთო მოედანზე ბოლომდე გამოავლინეს. არა მხოლოდ ახალგაზრდებს, იმ სოფლის მოხუცებსაც ისე უხაროდათ ბავშვებით აფერადებული სტადიონი, ღიმილიანი ემოციებით ადევნებდნენ თვალს ბოლო წლებში სოფლისთვის უჩვეულო სანახაობას. ჯეელობასაც ბევრი იხსენებდა და საკუთარ კარგ ფეხბურთელობაზე ახალგაზრდობის მონატრებით საუბრობდნენ.

ირგვლივ მართლაც მხიარულება იდგა. მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი გია მიქელაძე ერთ-ერთი პირველი ეწვია უკვე მოწესრიგებულ სტადიონს. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია სტუმარს შემოუძღვა. სტუმარი კი არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ყველა ქართველისთვის საყვარელი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი გახლდათ. განწყობა და ოვაციები კიდევ უფრო სამხიარულო გახდა. ფეხბურთის ფედერაციიდან ჩამოსული სხვა სტუმრები მაისურებსა და საფეხბურთო ბურთებს საჩუქრად ურიგებდნენ სპორტსკოლის შემადგენლობაში შემავალი საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებს, საჯარო სკოლების მოსწავლეებს. მერე თამაშიც დაიწყო. ერთმანეთან ძალები სტუმრად ჩამოსული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებისგან სახელდახელოდ შექმნილმა გუნდმა და ადგილობრივი მერიის წარმომადგენლებმა მოსინჯეს. ჩხენიშის სტადიონს შეუძლია დაიკვეხნოს, ლევან კობიაშვილმა იმ სახელგანთქმულ სტადიონებს შორის, სადაც უთამაშნია, კლასი ჩხენიშში, ამ სტადიონზეც აჩვენა!

სოფლებში მერის წარმომადგენლებთან და მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერიც ფეხბურთელის ფორმით თამაშობდა. მართალია, კობიაშვილის დონის არა, მაგრამ მანაც გაიხსენა ფეხბურთელობა. მეტიც, ისეთი პასი "მისცა", ზუსტი დარტყმით მოწინააღმდეგის კარში სამტრედიელების მიერ გატანილი ერთადერთი გოლის დასაბამი რომ გახდა. მატჩი, ბუნებრივია, ამხანაგური იყო, მაგრამ მაინც, წააგო სამტრედიამ! 5:1 ანგარიში ფეხბურთის ფედერაციასთან შერკინების ადექვატური გახლდათ! სათადარიგოთა სკამზე მშვიდად ჯდომა უჭირდა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ტარიელ დვალიშვილს. ასაკს რა ვუთხარი, თორემ ვინ დამაკავებდაო. არადა, ანგარიში ტაბლოზე ძალიან ადარდებდა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის, ახალგაზრდებში მოტივაციის ასამაღლებლად, პროექტით სახალისო ფეხბურთი, სოფლებში სტადიონების კეთილმოწყობა კობიაშვილის ფეხბურთის ფედერაციაში მოსვლის შემდეგ დაიწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. ჩხენიში არც პირველი სოფელია ამ კუთხით და არც ბოლო იქნება. პროექტი მთელ საქართველოს მოიცავს. როგორც გაირკვა, 50-მდე სტადიონი უკვე გახსნილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე წარსულში თავადაც თამაშობდა ფეხბურთს. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის თასზე გამართული ჩემპიონატის დროს მიღებული ტრავმის გამო იმ დღეს მოედანზე გასვლა ვერ შესძლო. ჟურნალისტებთან საუბარში მოზარდი თაობისთვის მსგავსი პროექტების მნიშვნელობაზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ: "ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტის რომელ სახეობაშიც არ უნდა იყოს იგი გამოხატული, მომავალი თაობისთვის განსაკუთრებით კარგი საქმე და სასარგებლო დატვირთვაა. გარდა ამისა, ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივა, სოფლებში შექმნან საფეხბურთო და ზოგადად, სპორტული გარემო, სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს. ჩხენიშში არსებული ეს სტადიონიც ამისთვის შეარჩია ფედერაციამ. დღეს კარგი საქმის საფუძვლის ჩასაყრელად იმართება ეს მასშტაბური ღონისძიება, რაც ძალიან სასიხარულოა."

ადგილობრივების ყურადღება ფეხბურთელმა გოგონებმა მიიპყრეს. როგორც აღმოჩნდა, ისინი ლანჩხუთის "ლანჩხუთის" მოთამაშეები იყვნენ. 18-19 წლის გოგონები, რომლებმაც აღნიშნეს: "გარდა იმისა, რომ ძალიან გვიყვარს სპორტის ეს სახეობა და ვგულშემატკივრობთ მას, გვინდა პროფესიონალური ფეხბურთი ვითამაშოთ. სტერეოტიპებს ვანგრევთ, რომ ქალი ამას ვერ შესძლებს!" გარდა ამ გოგონებისა, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს რამდენიმე ქალი ფეხბურთელი ახლდათ, რომლებმაც ლანჩხუთელ გოგონებთან ერთად სტუმართა გუნდში მამაკაცებს ტოლი არ დაუდეს.

მოედანზე გენდერული ბალანსი აშკარად დაცული იყო, იქამდე, აშკარად ჩანდა, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარებაზე ხშირად მოგვიწევს საუბარი!

განსაკუთრებულ მადლობას სამტრედიელები მამუკა კვარაცხელიას მისამართით ამბობდნენ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სამტრედია და ჩხენიშის ეს სტადიონი პროექტში მოხვედრილიყო. თავის მხრივ ფეხბურთის ფედერაციის სტადიონების განყოფილების უფროსი და სახალისო ღია საფეხბურთო სკოლების საქართველოში ხელმძღვანელი მამუკა კვარაცხელია აღნიშნავდა: "კობიაშვილის ფედერაციაში მოსვლის დღიდან განსაკუთრებული აქცენტებია აღებული სტადიონების განახლება-მოწესრიგებაზე. თუ არ გვექნება სტადიონი, აღარც ფეხბურთელი გვეყოლება, აღარც მწვრთნელი დაგვჭირდება და აღარც მსაჯი. სხვადასხვა სოფელში ქვეყნის მასშტაბით უკვე 50 სტადიონი განვაახლეთ. ყველგან და მათ შორის თქვენთანაც ჩამოვიტანეთ საჩუქრად სპორტული ინვენტარი. გადავამზადეთ 12 მწვრთნელი სახალისო ფეხბურთის პროექტის ფარგლებში. გიტოვებთ 200 მაისურს და 100 ბურთს. ჩვენს მიერ გადამზადებული მწვრთნელები ვალდებულნი არიან, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს ამ ინვენტარით ფეხბურთი შეასწავლონ."

მასობრივი ფეხბურთის განვითარებასა და მისი პოპულარიზაციისთვის გამამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა აქ სარემონტო და სხვა საჭირო სამუშაოები. შედეგად სოფელს და მის მიმდებარე სოფლებს კეთილმოწყობილი სტადიონი აქვს და იმედია, მასზე ფეხბურთის თამაში არ შეწყდება."

პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენებაზე განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა, რომ: "უპირველესად მადლობა მინდა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციას ამ სასარგებლო და საჭირო პროექტისთვის. სამტრედიას ჩხენიშში კიდევ ერთი მოწესრიგებული საფეხბურთო სტადიონი ექნება, რაც მართლა სასიხარულოა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. ლევან კობიაშვილის სტუმრობა კიდევ ერთი სასიამოვნო თემაა ჩვენთვის. სხვათა შორის, ფეხბურთის ფედერაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქალი ფეხბურთელებიც გვყვანან სტუმრად. ერთი დიდი სიამოვნებაა ლევან კობიაშვილის წინააღმდეგ თამაში. სხვათა შორის, ბავშვობაში ქეცბაიას წინააღმდეგ მქონდა ნათამაშები. სამტრედია იმიტომაც იქნა შერჩეული, რომ ჩვენ საფეხბურთო ქალაქად ვართ ცნობილი. აქედან ბევრი ცნობილი ფეხბურთელია წარმოშობით და უპირველესია მათ შორის კახი კალაძე. მართალი გითხრათ, ამ სახალისო მატჩში მეორე ტაიმს არ ვითამაშებ, სხვას მივეცი ამის შესაძლებლობა. გოლის გატანა მინდოდა ნამდვილად, მაგრამ გადავწყვიტე, საგოლე პასი სხვისთვის მიმეცა და გოლიც გავიტანეთ. ასე რომ, წინააღმდეგობის გაწევა ფედერაციისთვის შევძელით."

ბოლოს სპორტული და საჯარო სკოლების მოსწავლეები შეეფინენ სტადიონს სხვადასხვა შეჯიბრებით. ამ სპორტული დღის დასასრულიც სპორტული გახლდათ. საჩუქრად გადაცემული მაისურებით და ბურთებით გახარებული მოსწავლეები ამ მოედანზე ხშირად სტუმრობას პირდებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და სანაცვლოდ ავტოგრაფებს სთხოვდნენ

“ვისაც ლიტერატურა უყვარს”

ჩემს სახლში ყველა ოთახში წიგნები უნდა იყოს!

ნათია ნაცვლიშვილი

რუბრიკას “ვისაც ლიტერატურა უყვარს” საგანმანათლებლო რესურსცენტრის ახალგაზრდა იურისტი, ნათია ყუბანეიშვილი სტუმრობს. მისი ბიოგრაფია საინტერესო და მრავალფეროვანია, ჩვენი რუბრიკა ინტენსიურად განაგრძობს ნიჭიერი ახალგაზრდების ძიებას და წარმოჩენას. მაშ ასე, გთავაზობთ წიგნზე შეყვარებული კიდევ ერთი საინტერესო გოგონასთან ინტერვიუს.

_ ნათია, რას შეადარებდით უწიგნოდ ჩავლილ დღეს?

_ სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვერ ვახერხებ ლიტერატურის კითხვას, ძირითადად, ჩემი ყოველდღიური ცხოვრება შემოიფარგლება იურიდიული ლიტერატურისა და ახალი საკანონმდებლო მასალის გაცნობით. მოგეხსენებათ, იურისპრუდენცია შეუძლებელია განვითარდეს მუდმივი ცვლილებების გარეშე, რომელსაც ყველა მოქმედი იურისტი უნდა ეცნობოდეს. შესაბამისად, ჩემთვის თითქმის თითქმის არ არსებობს დღე, რომელმაც შეიძლება უწიგნოდ, განსაკუთრებით კოდექსის გარეშე ჩაიაროს, ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, თუმცა მაქვს ის ბედნიერი დღეები, როცა გარდა სამსახურებრივი მასალისა, ვკითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას. ვფიქრობ, ყველაზე მოსაწყენი და დაკარგულია დღე წიგნის გარეშე, სად ამოვიკითხე, არ მახსოვს, მაგრამ ნამდვილად ვეთანხმები გამოთქმას, რომ სახლი წიგნის გარეშე იგივეა, რაც სხეული სულის გარეშე. გადაწყვეტილი ამბავია, როცა ჩემი სახლი მექნება, ყველა ოთახში წიგნები უნდა იყოს.

_ თქვენს საწიგნეთში ყველაზე საყვარელი წიგნი რომელია?

_ ჩემს მიერ წაკითხულ წიგნებს დავყოფდი კარგ, მოსაწყენ და შთამბეჭდავ წიგნებად. თუმცა ძალიან ბევრი საყვარელი წიგნი მაქვს და ალბათ, ერთი კონკრეტული წიგნის დასახელება ყოველთვის რთულია მკითხველისათვის, ისევე, როგორც კინორეჟისორისათვის საყვარელი ფილმის. უბრალოდ, მინდა ახლა დაგისახელოთ ნინო ხარატიშვილის წიგნი “ჟუჟა”, რომელიც ნინოს დებიუტია პროზაში, 2010 წელს გერმანიაში გამოიცა და გერმანულენოვანი წიგნების საუკეთესო ოცეულში მოხვდა. ნინო ხარატიშვილს ძალიან საინტერესოდ აქვს წარმოჩენილი ქალების ორი სახე: ქალები, რომლებმაც იციან, რომ რუტინას ბევრჯერ გაუჩნდება ბზარი, რომლის დროსაც ადვილია საკუთარი თავის შენივე ხელით განადგურება, თუმცა არიან ქალები, რომლებმაც საკუთარი თავის შეცნობა მოახერხეს, მიწაზე მყარად დგანან და აგრძელებენ გზას, რათა საკუთარი ამბავი ბოლომდე უამბონ სხვებს. დარწმუნებული ვარ, მკითხველი ამ წიგნის კითხვის დროს საკუთარ თავს ამოიცნობს. ყველას გირჩევთ, გაეცნოთ ამ ნაწარმოებს, იგი განსაკუთრებულად ემოციური აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ქალისათვის.

ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო მარგარეტ ეტვუდის “მხევლის წიგნი”. ვიხსენებდი, ბოლოს წიგნმა ასეთი მძაფრი შეგრძნებები როდის გამიჩინა და ვერ გავიხსენე. დიდი ხანია, ასეთი საოცრად კარგი წიგნი არ წამიკითხავს.

_ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება თუ არა თქვენი გატაცება ამა თუ იმ ჟანრით?

_ ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურა შემიძლია წავიკითხო, ეს დამოკიდებულია განწყობაზე, ბავშვობიდან მიყვარს ფანტასტიკა, არარეალური სამყარო და მისტიკა ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციას იწვევდა ჩემში, ეს კი მერე ჩანაცვლდა ცხოვრებისეული და ისტორიული რომანებით. მოკლედ, დღეს არ არსებობს ლიტერატურის ჟანრი, რომელზეც შემიძლია ვთქვა, რომ არაკომფორტულია ჩემთვის.

_ ვინ არიან თქვენთვის საყვარელი უცხოელი და ქართველი მწერლები და პოეტები?

_ ბევრი საყვარელი უცხოელი თუ ქართველი მწერალი თუ პოეტი მყავს. ჩემზე გავლენას ყოველთვის ქალები ახდენდნენ. ყოველთვის აღვნიშნავ ქალის სიძლიერეს და როლს ცხოვრებაში, ამიტომ, მწერლებიდანაც ქალებმა დაიმკვიდრეს ჩემს სულში მტკიცე ადგილი,_ ჯეინ ოსტინი, ელიზაბეტ ჯილბერტი, შარლოტ ბრონტე, აგათა კრისტი, ვირჯინია ვულფი, რა თქმა უნდა, კატო ჯავახიშვილი. კატო ჯავახიშვილს ძალიან საინტერესო ბიოგრაფია აქვს, რამდენიმე სპეციალობა აქვს, მათ შორის, იურისტია, მისი მრავალმხრივი ბიოგრაფიული ცნობების მიუხედავად, თავად აღნიშნავს, რომ არ უყვარს ბიოგრაფიული ცნობები, რადგან ისინი თავის თავში ცხოვრებას ვერაფრით იტევს. კატოს შემოქმედებიდან მინდა დავასახელო: “ყოვლისშემძლეობის პარადოქსი”, “ჩამოშალა წვიმის თმები ლურჯთვალა ზეცას”, “გამოღვიძება” და კიდევ უამრავი სხვა.

_ კონვენციურ ლექსს ანიჭებთ უპირატესობას თუ ვერლიბრს?

_ ვერლიბრი, ე.წ. თეთრი ლექსი არასოდეს მიზიდავდა, ძირითადად, კონვენციურ ლექსს ვანიჭებდი უპირატესობას, თუმცა ბოლო პერიოდში ორივე სახის ლექსებს ვკითხულობ, ეს, ალბათ, ვერლიბრის განვითარებამ და დახვეწამ განაპირობა. არის მოსაზრება, რომ პოეზიისა და პროზის შერწყმის საუკეთესო საშუალებად სწორედ თავისუფალი ლექსი ითვლება და ლექსის ეს სახე უფრო ზუსტად გადმოგვცემს პრობლემის არსს. და არ შემიძლია ქართველ მწერლებზე საუბრისას არ გითხრათ, რომ ქართული ლიტერატურა ჩემთვის მიხეილ ჯავახიშვილით იწყება და ოთარ ჭილაძით მთავრდება, თუმცა ჭილაძე ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც შეძლო და თანაბრად ძლიერად თქვა სათქმელი პოეზიაშიც და პროზაშიც. ზოგჯერ ვფიქრობ, რასაც წერდა, ეს ყველაფერი თუ მართლა განიცადა და საკუთარ ძვლებზე გადაიტანა, როგორ გადარჩა, ამდენს როგორ გაუძლო.

როგორც მითოლოგიის მოყვარულმა, მინდა გამოვყო ჭილაძის შემოქმედებიდან მითოლოგიური რომანი “გზაზე ერთი კაცი მიდიოდა”, რომელიც რამდენიმე ნაწილად იყოფა და არის არგონავტების მითის ახალი ვერსია, ეს საკმაოდ რთული მითოლოგიური ქვეტექსტ-ებით დატვირთული რომანია. ჭილაძე წერდა: “ჩვენ დავდიოდით და ამდენ სახლში არც ერთი სახლი არ იყო ჩვენი... თუმცა ამაზე არც გვიფიქრია! ვერც დაგვიტევდნენ ალბათ კედლები”. “არ ჩაიქნიო არასდროს ხელი, ვიდრე ხარ, ვიდრე ხედავ და გესმის, ძველს ცვლის ახალი, ახალს კი ძველი, და ქვის მსროლელი ყვავილსაც გესვრის”. ასევე ძალიან მომწონს მისი ეს სიტყვები: “ნურასდროს ნუ იტყვი, ყველაფერი უკან დარჩაო, წინ ყოველთვის არის რაღაც, რასაც ერთბაშად შეუძლია ჩვენი ცხოვრების გადაფასებაც და გაუფასურებაც”.

_ გვითხარით ფრაზა ან ციტატა, რომელიც ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებისას გამოგდგომიათ? ან პრობლემათა გადაჭრაში დაგხმარებიათ?

_ ძალიან ბევრი ფრაზა შემიძლია გავიხსენო ისეთი, რომელიც მეხმარება, შევაფასო როგორც ცხოვრებისეული მოვლენები, ასევე ადამიანები, რომლებიც მხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბოლო პერიოდში წაკითხული წიგნებიდან მახსენდება ნათია ფანჯიკიძის “შიშო, გამოდი გარეთ!” ეს ნაწარმოები იწყება სიტყვებით: “ცხოვრება თავსატეხი კი არ არის, რომელიც უნდა ამოხსნა, რეალობაა, რომელიც უნდა გამოსცადო”. ცხოვრება ასეა მოწყობილი_ ჟრუანტელი ხან სიამოვნებისგან დაგივლის, ხან შიშისგან. როგორც ნათია იტყოდა, “კარტს, რომელიც დაგირიგდა, ვერ გამოცვლი, მაგრამ შენზეა, როგორ გაითამაშებ ხელს, საუკეთესო კარტითაც შეიძლება წაგება და პირიქით”.

_ შეგახვედრათ თუ არა ბედმა რომელიმე ცნობილ მწერალს, პოეტს თუ საზოგადო მოღვაწეს?

_ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ძირითადად, იურისტებს ვხვდები, თუმცა ხშირად დავდივარ საღამოებსა და ღონისძიებებზე და ბევრ საზოგადო მოღვაწეს შევხვდი ცხოვრების მანძილზე. მინდა გავიხსენო ბუმბერაზ მწერალთან, გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრის შესახებ, რამაც უდიდესი ემოცია გამოიწვია და დღემდე მახსოვს ეს წუთები. 2017 წელი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ბატონ გურამთან შეხვედრა, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ვესწრებოდით. რექტორმა ისაუბრა ბატონი გურამის განსაკუთრებულ ღვაწლზე როგორც უნივერსიტეტის ისტორიაში, ასევე ქართულ ლიტერატურაში. აღნიშნა, რომ ბატონი გურამი არის მოვლენა და მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი. შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. აღნიშნულ შეხვედრაზე სტუდენტებს მოგვეცა საშუალება, რამდენიმე კითხვა დაგვესვა ბატონი გურამისთვის. შეხვედრის ბოლოს ბატონმა გურამმა აღნიშნა, რომ კეთილგანწყობა, სიყვარული და თანადგომა რასაც ის იღებს, გარდა ბედნიერებისა, დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას. ის ასევე გვესაუბრა ლიტერატურის როლზე ადამიანის ცხოვრებაში, ძალიან დადებითი ემოციებით დატვირთული საღამო გამოვიდა...

_ მეგობრებს გაქვთ ურთიერთისათვის წიგნების ჩუქების ტრადიცია?

_ გვაქვს როგორც წიგნის ჩუქების, ასევე წაკითხული წიგნების განხილვის ტრადიცია, ვასახელებთ შეხვედრის დღეს და ერთობლივად ვარჩევთ წიგნს, ვიკრიბებით და განვიხილავთ წაკითხულს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში შეხვედრას ვერ ვახერხებთ, ყოველდღიური ცხოვრების დაძაბული რიტმიდან და ადგილმდებარეობიდან (არსებობს სხვა მიზეზებიც) გამომდინარე, სხვადასხვა ქალაქში გვიწევს მოღვაწეობა, ამიტომაც, ძირითადად, ინტერნეტსივრცეს ვიყენებთ ემოციების გაზიარებისათვის, გვაქვს საერთო “ჩატი” ხშირად ვერ ვითმენთ წიგნის დასრულებამდე და უფრო ადრიანად იწყება წაკითხული წიგნის განხილვა-გააზრების პროცესი.

_ ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხეთ...

_ ფრანც კაფკას “პროცესი” წავიკითხე, წიგნის მთავარი არსი ის არის, რომ ჩვენი ცხოვრება არ უნდა იყოს რუტინული, ერთგვაროვანი. არ უნდა ვაკეთებდეთ ყოველდღე ერთსა და იმავეს, ერთფეროვნების შემთხვევაში ვერ იქნება პროგრესი, პროგრესი მოაქვს ცვალებადობას. ასეთი ერთგვაროვნების პირობებში ნაწარმოების მთავარი გმირი განწირული იყო, რადგან თანამედროვე ცხოვრებაში თუ მუდმივი პროგრესი არ იქნა, ადამიანი ნადგურდება, შესაბამისად, ვფიქრობ, განსაცდელი, რომელიც გვხვდება ცხოვრებაში, არის შანსი, რომ თითოეულმა ჩვენგანმა პროგრესი განიცადოს.

უკვე გადავწყვიტე, რა იქნება შემდეგი (წიგნის არჩევის ჩემი რიგია), რასაც წავიკითხავთ მე და ჩემი მეგობრები ერთად, უდავოდ, ეს იქნება ჰაინრიხ ბიოლის “უკაცო სახლი”.

დიდი ევროპელი

ხალი მონისა ლუბის და ნაწერი იგი ჯვის უკუნითი უკუნისაჯე

გადაუჭარბებლად შეიძლება დიდი ევროპელი ვუწოდოთ ნიკიფორე ირბახს, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს. განუზომელია მისი ღვაწლი და ამაგი ქართველი ერისა და საქართველოს წინაშე.

ელჩი, სწავლული, კათოლიკოს-პატრიარქი, მხურვალე მამულიშვილი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მან 1629 წელს რომში პატრ სტეფანე პაოლინოსთან ერთად გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რისთვისაც საფუძვლიანად შეისწავლა იტალიური ენა და ქართული ენა საფუძვლიანადვე შეასწავლა პატრ სტეფანე პაოლინოსაც. ფასდაუდებელია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ღვაწლი ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ლევან გაბეჩავა

საუკეთესო იმიჯის მქონე სკოლა ახალ სასწავლო წელს სრული მზაობით შეეგება

ნათია ნაცვლიშვილი

დიდი ჯიხაიშის პირველ საჯარო სკოლას საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს, მასთანვეა ინტეგრირებული ყაზბეგის უბნის სკოლა, ასეთივე მრავალწლოვანი ისტორიით. სრულიად საქართველოში და ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მიგრაციის პროცესებმა ამ სკოლის კონტინგენტიც საგრძნობლად შეკვეცა. სკოლის დირექტორი, მანანა ხაზალია იხსენებს პერიოდსაც, ამ სკოლაში ორცვლიანი რომ იყო სწავლება. მანანა ხაზალია: "სკოლის შენობა 400 ბავშვზეა გათვლილი. 2010-2011 წლებში 420 მოსწავლე იყო ორივე სკოლაში, ახლა ორივეში 280-ია. 42-მა დაასრულა სკოლა წლეულს და ახალ სასწავლო წელს 21 მივიღეთ, შობადობამაც იკლო სოფლებში და ესეც აისახება კონტინგენტზე."

განსაკუთრებული ხაზგასმის ღირსია ის, რომ ამ წარმატებულ სკოლას ინტელექტუალური თამაშების დიდი ტრადიციები აქვს, ეს სკოლა "რა? სად? როდის?" მოთამაშეთა ნამდვილი სამჭედლოა, მანანა ხაზალიას თქმით, პედაგოგი ვანო დარსაველიძე ხელმძღვანელობდა სკოლის სადისკუსიო კლუბს და პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ატარებდა ინტელექტუალურ თამაშებს. ბავშვები დიდი აზარტით იყვნენ ჩართულნი ამ თამაშებში, განსაკუთრებული და შეუფასებელია ინტელექტჩემპიონატებში ძმების, იოანე და თემურ ვაშაკიძეების მიერ შეტანილი წვლილი. რამდენიმე წელია, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ტრაგიკულად დაღუპული ამ ახალგაზრდების ხსოვნის მემორიალი იმართება, სადაც ძალზე ტიტულოვანი ინტელექტუალური გუნდები ერკინებიან ურთიერთს. მათ 3-4 წლის წინ დაასრულეს სკოლა, იოანე მეორე კურსის სტუდენტი იყო, თემური კი იმ წელს ჩაირიცხა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მაგრამ სტუდენტობა არ დასცალდა. ქალბატონი მანანა გულისტკივილით იგონებს ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს.

სკოლა წარმატებულ ახალგაზარდებს კვლავ ზრდის, ძალიან ბევრი წარმატებული გვყავს, გასული წლის სამტრედიის "ეტალონი" მოსწავლე, მეგი კაზეიშვილი წლეულს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 70 პროცენტიანი გრანტით, 20 ჩვენი კურსდამთავრებული გახდა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი, აქედან უმრავლესობა უფასო ფაკულტეტზე მოეწყო. ყოველწლიურად ქართულსა და უცხო ენებში მაღალ შედეგებს იღებენ ჩვენი მოსწავლეები." _ გვეუბნება ქალბატონი მანანა.

მას ამ სკოლაში მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება აქვს. წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტეკონომიის სპეციალობით, დამთავრებისთანავე ჩაბარა ასპირანტურაში იმავე სპეციალობით. გაანაწილეს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პოლიტეკონომიის კათედრაზე, მიჰყავდა ლექციების კურსი პოლიტეკონომიაში. 1996 წელს თავი დაანება ქუთაისში მუშაობას, რადგან ორი მცირეწლოვანი შვილის დედამ ეს ვერ შეძლო. მუშაობას აგრძელებს ნიკო ნიკოლაძის მრავალპროფილურ აკადემიაში და კითხულობს სხვადასხვა ეკონომიკურ დისციპლინებს, ენიჭება აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის დოცენტის წოდება. იყო სასწავლებლის დეკანიც. მეთორმეტე წელია, რაც სოფელ დიდი ჯიხაიშის პირველ სკოლაში მუშაობს, 2014 წელს მეორედ ჩააბარა დირექტორობის გამოცდა, ამჯერად მისი კიდევ ერთი წარმატების შესახებ უნდა გაუწყოთ: ჩააბარა გამოცდა სამოქალაქო განათლებაში, მოიპოვა 10 კრედიტი, მას არ მოუწია პედაგოგიური უნარების გამოცდის ჩაბარება, რადგან განვლილი ნაყოფიერი პედაგოგიური გზის გამო განათლების სამინისტრომ ავტომატურად მიანიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ახალი სასწავლო წლიდან ქალბატონი მანანა მეშვიდე, მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეებს სამოქალაქო განათლებას ასწავლის და მათ მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნავს.

ჩვენს კითხვაზე, როგორ შეეგება სკოლა ახალ სასწავლო წელს, დირექტორი გვპასუხობს: "ახალ სასწავლო წელს სკოლა სრული მზაობით შეხვდა, რემონტი ჩაგვიტარდა რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით და მხარდაჭერით, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები, შენობის წინა ფასადი გამოიცვალა, რის გამოც მადლობას მოვახსენებთ ხელისუფლებას, გვყავს სერტიფიცირებული პედაგოგები და ყველა პირობაა ახალგაზრდების სწავლებისა და ჯანსაღი განვითარებისათვის. კვლავ ფორმაშია და განაგრძობს აქტიურ მუშაობას სკოლის ინტელექტუალთა გუნდი "ჯიხა", რომელიც მომავალში არაერთ წარმატებას მოიპოვებს.

130 წლის წინ სამტრედიაში ბაზრობა დაწესდა

საინტერესო მასალას გვაწვდის პროფესორ ვაჟა თვალავაძის ერთმა ინფორმაციამ მიიპყრო, რომელიც, ვფიქრობთ, ბევრს დაინტერესებს.

გაზეთი "ივერია" (1889 წ., №134) გვაუწყებს, რომ "1889 წლის 16 ოქტომბერს მთავრობის ნებართვით სამტრედიაში დაწესდა ბაზრობა პარასკევობით. ამ დღისათვის მოიწვიეს ბლაღოჩინი მამა ერმალოზ კანდელაკი, რვა მღვდელი, ამდენივე მამასახლისი, გარშემო სოფლებიდან დიდძალი ხალხი მოგროვდა. წირვის შემდეგ გაიმართა ვაჭრობა".

ბაზრის შუაგულში მდებარე ვეებერთელა ტბა არა მარტო წამლავდა ახლომახლო სოფლებს, არამედ სავსე იყო ბაყაყებითა და ქვეწარმავლებით. ამიტომ ვაჭრები ერიდებოდნენ სამტრედიის ბაზარში ჩამოსვლას და სავაჭროდ ორპირში მიდიოდნენ. რკინიგზის განვითარების წყალობით ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და სამტრედიის ბაზარმა თანდათან წამყვანი ადგილი დაიკავა არა მარტო ახლომდებარე სოფლების ბაზრობებს შორის, არამედ ქუთაისის მაზრაშიც.

"ვინც ერთი წლის წინად ჰნახა ჩვენი პატარა დაბა, ეხლა ველარ-კი იცნობს, საიდან გინდათ, რომ აქ ვაჭრები არ გადმოდიოდნენ ქუთაისიდან, ბათუმიდან, ხონიდან, ფოთიდან ტფილისიდანაც კი". _ წერდა გაზეთი "ივერია" (1893 წ., №148).

რა ვითარება იყო 1914 წლისათვის პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას და მიმდინარეობისას სამტრედიაში? ამ კითხვასაც ამომწურავ პასუხს სცემს პროფესორ თვალავაძის წიგნის ერთი ქვეთავი, სადაც ნათქვამია: "ისევე როგორც მთელ საქართველოში, სამტრედიაშიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით შეწყდა სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ჩატარება. დიდი ჯიხაიშის მთელი ცხოვრება მოდუნებულია მას შემდეგ, რაც მობილიზაცია გამოცხადდა. ყველაფერი მიყუჩდა, აღარც წარმოდგენები და აღარც სხვა რაიმე კულტურული გასართობები. დღეს მხოლოდ ომის ამბები აინტერესებს ხალხს და მთელი მათი ყურადღება ომის ველისკენ არის მიქცეული". _ წერდა გაზეთი "ახალი აზრი".

1914 წლის 14 სექტემბერს ომში დაჭრილთა სასარგებლოდ სამტრედიაში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართა. ასეთივე ღონისძიება ჩატარდა 28 სექტემბერსაც. მართალია, მათვრობამ ომში წასულთა ოჯახებს დურიგა ცოლებს ხუთი მანეთი და შვილებს ერთი მანეთი და 13 კაპიკი, მაგრამ გაითვალისწინეს რა ომში გაწვეულთა ოჯახების აუტანელი მდგომარეობა, ბოქაულის წინადადებით დიდ ჯიხაიშელებმა გადაწყვიტეს შეეგროვებინათ კომლზე 20-80 კაპიკი. ასეთი ქველმოქმედებისათვის ფული სხვა სოფლებშიც იკრიბებოდა (გაზეთი "ახალი აზრი", 1914 წ., №32).

მადლობას ვუხდით ბატონ ვაჟა თვალავაძეს თავაზიანი ნებართვისათვის, გვესარგებლა მისი ნაშრომით.

ლევან გაბეჩავა

მასწავლებლებო, ჩვენ თქვენ გვიყვარხართ

პროფესიულ დღესასწაულს აღნიშნავენ ოქტომბრის დასაწყისში ქართველი პედაგოგები. ყოველი ფორმაციისას უდიდესი იყო მასწავლებელთა როლი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ასეა დღესაც. განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, დარგში კვლავ პრობლემებია, რაც მასწავლებელთა ყოფაზეც აისახება და პირდაპირ კავშირშია მათ მიერ პროფესიული უფლება-მოვალეობის აღსრულებასთან.

დროა, სახელმწიფომ განათლების სისტემის მუშაკები იმ დონემდე უზრუნველყოს, რომ მასწავლებელმა მხოლოდ გაკვეთილზე იფიქროს და არა იმაზე, თუ როგორ გადაიხადოს შაქრის, წამლის, პურის ვალი, დაფაროს კომუნალური გადასახადები და ა.შ. არასრულყოფილია სკოლები მამაკაცი პედაგოგების გარეშე. დღეს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში ლამის იმდენი მამაკაცი პედაგოგია, რამდენიც წლების წინ ერთ საშუალო სკოლაში მუშაობდა. უდავოდ სასიკეთო და საამაყოა სკოლებში "დედაენის" სწავლება რომ დაბრუნდა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც გამოჩნდნენ კრიტიკოსები.

ვამაყობთ სამტრედიელები ღირსეული პედაგოგებით, ასობით აღზრდილის გულში რომ დაიმკვიდრეს სამარადისო ადგილი. თბილად იგონებენ სამტრედიელები უფროსი თაობის პედაგოგებს: ანდრო კანდელაკს, ანდრო შუბლაძეს, პოლიკო მიქაძეს, გიორგი ჩხეიძეს, შუშანა ქართველიშვილს, ნეოლინა ჯიქიძეს, ტატიანა გეგუჩაძესა და სხვებს.

უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ მასწავლებლის დღეს ღვაწლმოსილ პედაგოგებს: ნუნუ ნუცუბიძეს, ლიანა ბოხუას, ზურაბ ფანცულაიას, შუქრი ურუშაძეს, ნატო შეროზიას, თინა წითელიშვილს, ციალა კვანტალიანს, ნორა შავიძეს... მათ ხომ ყველაფერი გაკეთეს საიმისოდ, რომ აღეზარდათ არა მარტო კონკრეტული საგნის მცოდნე, არამედ ნამდვილი, ღირსეული მოქალაქეები. ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავალი და იმედი.

გავკადნიერდები და 31 წლის წინ, 1988 წლის 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღეს, სოფელ დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის სახელობის საჯარო სკოლაში ჯანიკო ბზიკაძის მიერ გადაღებულ სურათს შევთავაზებთ მკითხველს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან ამავე სკოლის პედაგოგები, პირველ რიგში მარცხნიდან: ლია ჭელიძე, მარინე ბზიკაძე, შორენა ჯიქიძე, გულნარა რუხაძე; მეორე რიგში სესილი კაპანაძე, გუგული მჟავია, გოგუცა კოხრეიძე, მანანა რუსია, ვენერა კაჭახიძე; მესამე რიგში ლევან გაბეჩავა, ზურაბ ფანცულაია, შუქრი ურუშაძე, მიხეილ ჯიქიძე.

"პროფესიული დღესასწაული, მასწავლებლის დღე მსურს მივულოცო თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩვენს მუნიციპალიტეტში, სრულიად საქართველოში მოღვაწე პედაგოგებს. შემოქმედებითი წარმატებები და ულევი სიხარული მინდა ვუსურვო თითოეულს კეთილშობილურ მოღვაწეობაში. სასიამოვნოა, რომ ხელისუფლებისაგან შეთავაზებული სიახლეები არა მარტო ახალგაზრდების, მასწავლებელთა კეთილდღეობისკენაცაა მიმართული". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამ.

ვილოცავთ, ძვირფასო მასწავლებლებო!

ლევან გაბეჩავა

ირმა ვაშაკიძე _ 2019 წლის ფრანგული ენის საუკეთესო მასწავლებელი

ნინო ნანიტაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ამ კვირაში საუკეთესო მასწავლებლები გამოავლინა. 25 სექტემბერს ცენტრის დირექტორმა ბერიკა შუკაიძემ 2019 წლის ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულისა და ქართულის, როგორც მეორე ენის, საუკეთესო მასწავლებლების კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

კონკურსში, რომელიც 2019 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით ტარდება, მონაწილეებს ადგილობრივი და საერთაშორისო საგნობრივი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია აფასებდა.

კონკურსის სხვადასხვა ეტაპის შედეგად შეარჩიეს საუკეთესო კანდიდატები.

კომისიის წევრები დაესწრნენ თითოეული მათგანის გაკვეთილს, ჩაწერეს ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის წევრებთან, ასევე შეისწავლეს თითოეული მასწავლებლის პორტფოლიო.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. კონკურსში მონაწილე 14 ფინალისტიდან გამარჯვებულად თითოეული საგნის ერთი სპეციალისტი დასახელდა. გამარჯვებულებს მასწავლებლის სახლმა სიგელები, სამკერდე ნიშნები და სახელმძღვანელოები გადასცა. ხუთივე ფინალისტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პარტნიორმა "საქართველოს ბანკმა" 500 ლარით დაჯილდოვა.

აი, ისინიც: ინგლისური ენის საუკეთესო პედაგოგი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეეთის საჯარო სკოლის მასწავლებელი მარინე ფორჩხიძე გახდა, გერმანული ენის _ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგი ანნა შატაკიშვილი, რუსული ენის _ გორის მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგი ირმა კურტანიძე, ქართულის, როგორც მეორე ენის _ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ლალი დალაქიშვილი. ფრანგული ენის საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა ჩვენი თანაქალაქელი, სამტრედიის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ირმა ვაშაკიძე, რომელსაც ფრანგული ინსტიტუტი საფრანგეთში სტაჟირებას დაუფინანსებს. გარდა ამისა, პედაგოგს კომისიის წევრმა მირანდა ლომიძემ გადასცა მეხსიერების ბარათი დამხმარე სახელმძღვანელოებით. თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ კი ირმა ვაშაკიძე სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვა.

საუკეთესო პედაგოგს 26 სექტემბრის დილით სამტრედიაში შეხვედრა მოუწყვეს. მშობლიური №1 საჯარო სკოლის ეზოში მას შეეგებნენ დირექტორი, მასწავლებლები, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები და მშობლები. ირმა

ვაშაკიძეს ისინი მხურვალე ტაშის თანხლებით საკლასო ოთახში შეუძღვნენ, თაიგულები მიართვეს და მომავალში წარმატებები უსურვეს.

"სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში №1 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე ამ ამბით მოგვრილ ბედნიერებას ვერ ფარავდა: "ეს იყო ნამდვილად ღირსეული ჯილდო, რადგან ირმა ვაშაკიძე აკეთებს საოცრებებს, მისი გაკვეთილი გამორჩეულად კრეატიულია, მრავალფეროვანი და ზუსტად შედეგზე გათვლილი. მისი მოსწავლეები ორ წელიწადში ისე ახერხებენ ფრანგულად ლაპარაკს, თითქოს 20 წელია, რაც ამ ენას სწავლობენ. უდიდესი სიხარულით მივულოცავ ირმა ვაშაკიძეს დიდ ჯილდოს! მეამყება, რომ ვარ ნომერ პირველი მასწავლებლის დირექტორი".

ირმა ვაშაკიძე მიიჩნევს, რომ მისი წარმატება დიდმა შრომამ, პროფესიისადმი ერთგულებამ და სიყვარულმა განაპირობა: "მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, ფრანგული ინსტიტუტი ძალიან ბევრს აკეთებს ფრანგული ენის გაძლიერებისა და პოპულარიზაციისათვის. ჩართულობამ პროექტში "ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" მომცა საშუალება, მეთანამშრომლა ფრანგ პროფესიონალ პედაგოგთან, გოტიე კრეპთან, რომელიც დამეხმარა ფრანგული ენის ატმოსფეროს შექმნაში. ძალიან ბევრი აქტივობა განვახორციელე. გვაქვს ბევრი გამარჯვება კონკურსებში, პროექტებში. ჩვენს სკოლაში განსაკუთრებით უყვართ ფრანგული ენის გაკვეთილები, ფუნქციონირებს ფრანგული კლუბი. ფრანგული ენის გაძლიერება სკოლის დირექტორის, ქალბატონი ხათუნა ფაილაძის, გვერდში დგომის დამსახურებაა. ბედნიერი ვარ ამ აღიარებით, საქართველოში ფრანგული ენის ბევრი ღირსეული პედაგოგია. დიდი ჯილდოა ჩემთვის, იყო საქართველოს საუკეთესო მასწავლებელი. ეს მაძლევს იმის სტიმულს, კიდევ უფრო მეტი გავაკეთო ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში".

მერაბ ტყეშელაშვილი: "მასწავლებელო, მე შეგიძლია, ქართულად გიპასუხოთ"!

ნინო ნანიტაშვილი

წელს მე-2 ახალი სასწავლო წელია, რაც მერაბ ტყეშელაშვილი საქართველოში აღებს სკოლის კარებს. მეხუთეკლასელი ბიჭუნა საუცხოოდ შეეგუა მისთვის უცნობ გარემოს. მიუხედავდ იმისა, რომ მერაბი მამით ქართველია, შარშანდლამდე მას მშობლიურ ენაზე მეტყველება ძალიან უჭირდა, რადგან დედა ბელარუსელი ჰყავს. მეოთხეკლასელი ყმაწვილი საქართველოში, კერძოდ, სამტრედიაში, ბაბუსათან გადმოვიდა საცხოვრებლად და იძულებული გახდა, ქართულ სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. რამდენად გაართმევდა თავს, ამას თავიდან ყველა განიცდიდა, ოჯახიც და სკოლაც. არჩევანი მე-10 საჯარო სკოლაზე გაკეთდა, რადგან რკინიგზის ყოფილი მე-13 საშუალო სკოლა თავის დროზე დამთავრებული აქვთ მერაბის ბაბუას, მამასა და ბიძას.

"შეიძლება ითქვას, პატარა მერაბმა ქართული თითქმის არ იცოდა, _ იხსენებს კლასის დამრიგებელი ქეთო ახალაძე. _ მართალია, მე-4 კლასში დავსვით, პრაქტიკულად დაგვჭირდა ანბანის შესწავლა. გაგვიმართლა, მერაბი საუკეთესო გარემოში მოხვდა და საუკეთესოდ აითვისა ყველა ის აქტივობა, რომლებსაც მას სკოლა და კლასი სთავაზობდა. ვერ დაიჯერებთ, მერაბი ერთ წელში ისეთ შედეგებზე გავიდა, რომ სკოლის 1-ლი საფეხურის 4 კლასი წარმატებით დაასრულა. ამ ბავშვს ქცევები თავიდანვე ღირსეული მოსწავლისა ჰქონდა, რაც ხელს გვიწყობდა, ის თანატოლებს გატოლებოდა. თავისი უნარ-ჩვევებით მან დიდი სიყვარული დაიმსახურა თანაკლასელებსა და პედაგოგიურ კოლექტივში".

მერაბ ტყეშელაშვილი ჯანსაღი ცხოვრების წესით არის დაკავებული. ის კალათბურთში თამაზ ხაფავასთან ვარჯიშობს და მომავალში წარმატებულ კალათბურთელობაზე ოცნებობს.



მერაბ ტყეშელაშვილთან შარშანდელ ურთიერთობას "მე და საზოგადოების" მასწავლებელი, მე-10 საჯარო სკოლის დირექტორი, თამარ თევზაძე, ასე იხსენებს: "მერაბს ისე უყვარს ქართული ენა და იმდენად მონდომებული იყო, მშობლიური ენა ესწავლა მოკლე დროში, როცა რუსულად ვეკითხებოდი გაკვეთილზე, იგი გატეხილი ქართულით მიპასუხებდა: "არა, მასწავლებელო, მე შემიძლია, ქართულად გიპასუხოთ". იგი ჩართული იყო ყველა აქტივობაში, პროექტებსა თუ შემოქმედებით ღონისძიებებში და ტოლს არავის უდებდა. იმდენად მალე შეითვისა ქართული ენა, ზღვარი წაიშალა მასა და მის თანაკლასელებს შორის. დღეს მერაბი ერთ-ერთი მოწინავე, წარმატებული მოსწავლეა მე-10 საჯარო სკოლაში. არ შემიძლია, განსაკუთრებულად ხაზი არ გავუსვა მის გარეგნულ იერს, მერაბ ტყეშელაშვილი ყოველთვის მოწესრიგებული მოდის სკოლაში და ნამდვილი მოსწავლის სტატუსით სარგებლობს. ის ამჟამად მე-5 კლასშია და დაახლოებით 12 სხვადასხვა საგნის 10 მასწავლებელი ასწავლის, რომლებიც დადებითად ახასიათებენ მოსკოვში დაბადებულ და გაზრდილ, ახლა კი საცხოვრებლად სამტრედიაში გადმოსულ ყმაწვილს.

ემიგრანტის ფიქრები

ემიგრანტი ნიშნავს... ცხოვრობდე ანაზღაურებად გადასახლებაში

ფსევდონიმით წერა არჩია _ არაფერი მაქვს დასამალი, მაგრამ "ეგრისელი" გულთან ძალიან თბილად მხვდებაო. სახელი თავისი დაიტოვა: ნატალია. დიახ, ამიერიდან ხშირად წაიკითხავთ "სამტრედიის მაცნის" ფურცლებზე ახალი რუბრიკის ქვეშ "ემიგრანტის ფიქრები" ნატალი ეგრისელის ჩანაწერებს.

მას ბევრი ახლობელი ადამიანი და მეგობარი ჰყავს ჩვენს ქალაქში, ბევრიც ამ გაზეთის მკითხველია. ამდენად, არ იქნება გასაკვირი, მისი ინდივიდუალური კალმით, თავისუფალი აზროვნებითა და თამამი შეფასებებით ამოიცნონ კიდეც. ამბობს, რომ დასამალი არაფერი აქვს.

თითქმის ერთი ათეული წელია, ემიგრაციაში ცხოვრობს, მეზობელ სახელმწიფოში, რომელზეც ბავშვობაში ისეთივე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც მის თაობას, ანუ 50 წელს გადაცილებულ ადამიანებს. ქვეყანაში, სადაც მოტაცებით, იძულებით მიჰყავდათ ქართველი ქალები და ბავშვები და ტყვეებად ყიდდნენ.

დღეს ეს ქვეყანა, უფრო ზუსტად, მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოს მხსნელად მოევლინა, თუ საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, თუ დასაქმების კუთხით. მე-20 საუკუნის მიწურულს ქართველებს თურქეთში ყველაფერი, რისი გატანაც შეეძლოთ, გადაჰქონდათ, ხილულად, დამალულად, ყიდდნენ და იქიდან საკვები პროდუქტები და ტანსაცმელი გადმოჰქონდათ.

დღეს თურქეთი ქართველი ხალხის დასაქმების ერთ-ერთი ნავსაყუდარია. ძირითადად ქალები, ეკონომიკური პრობლემების გამო ოჯახების გამოსაკვებად, მიდიან უცხო ქვეყანაში. თუმცა იციან, რომ ისინი ამ შემთხვევაში მსხვერპლნი არიან. იციან, რომ იქ მათ უკეთესი ცხოვრება და ჯანმრთელობა არ ექნებათ, სამაგიეროდ, სახლში დარჩენილებს გამოკვებავენ.

ამ ადამიანებს ემიგრანტები ჰქვიათ. გვინდა თუ არ გვინდა, მათ მზრებზე დგას საქართველო.

ქართველებისათვის ემიგრანტობა დიდხანს გაგრძელდა, ასე ფიქრობს ნატალი ეგრისელი. საწინაო არ ჩანს ჯერჯერობით, არადა, ემიგრანტობა სულაც არ ნიშნავს სიკეთეს, პრივილეგიას, წინსვლას, განვითარებას. ემიგრანტობა, ემიგრანტების სიტყვებით რომ ვთქვათ, ტკივილია, უსაზღვრო მონატრება ოჯახის, სამშობლოს ნოსტალგია, უცხო მიწაზე დამცირება, შეურაცხყოფა, უიმედობა, შიში, დაუსრულებელი ფიქრები, ზოგჯერ საკუთარ თავსაც რომ არ გინდა გაანდო. ვიდაცას იქნებ დაგვიანებულადაც მოეჩვენოს, უფრო ადრეც უნდა დაგეთმოთ ასპარეზი ჩვენი გადამრჩენელი ემიგრანტებისთვისო. არ შეგედავებით, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

დღევანდელი რუბრიკის "ემიგრანტის ფიქრები" პირველი სტუმარი ნატალი ეგრისელია, რომლის სოციალურ ქსელში აქტიურობამაც გვიყარნახა ამ ახალი რუბრიკის საჭიროება.

ნინო ნანიტაშვილი

გამარჯობა, საქართველო!

ძალიან ბევრი გვაქვს მოსაყოლი და უბრალოდ მოისმინე. ჩვენ შენი მიწიდან იძულებით წასულები ვართ. ჩვენ ემიგრანტები ვართ, რომლებსაც ძალიან ენატრებათ თავიანთი ოჯახები, სამშობლოში დაბრუნება.

ემიგრაცია მოგეხსენებათ, ეს არის სიღარიბისგან თავის დაღწევის უძველესი მეთოდი.

ემიგრანტობა მძიმე ჯვარია, რომლის ზიდვაც ყველას არ ძალუძს; ემიგრანტი ნიშნავს, ცხოვრობდე ანაზღაურებად გადასახლებაში, ეს სასჯელია, რომელსაც არ უჩანს დასასრული.

ემიგრანტი ნიშნავს, იცხოვრო და შეეგუო სხვის კაპრიზებს, იცხოვრო სხვისი ადათ-წესებით.

იმის ჩამოთვლას არ დავიწყებ, ვინ რატომ და რის გამო დატოვა სამშობლო და მიატოვა ოჯახები, ყველას კარგად მოეხსენება სიდუხჭირე, გაჭირვება, უმუშევრობა. მხოლოდ ეს ნამდვილად ვიცი, რომ ყველა ჩვენგანი იმედის თვალით გავყურებთ გზას, ვითვლით დღეებს, საათებსა და წუთებს, როსღა გვეღირსოს ჩვენ დაბრუნება.

ცრემლი, სევდა, ფიქრი თან დაგვყვება ყველგან, იქნებ სასაცილოა, მაგრამ ასეა.

ზოგადად წუწუნი არ მჩვევია, მაგრამ მიჭირს სიტყვებით აღვწერო, თუ რა პირობებში უწევთ ქართველებს მუშაობა.

ზოგადად ემიგრანტს, შორიდან დანახული თვალით ვერავინ გაუგებს. ვისაც თავად არ გამოუცდია, მისთვის ამოუხსნელი ამოცანაა, სამწუხაროდ. განიცდი და მტკივა, ვინც ემიგრანტს აუგად იხსენიებს. ჩვენ ამით თავს არავის ვაცოდებთ.

აი, ეს მტკივა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ შეგვიძლია ცხოვრება, არ გვაქვს ის ელემენტარული, რითაც არსებობას შევძლებთ.

ემიგრანტს მეტად უყვარს თავისი სამშობლო!

ემიგრანტების მთავარი პრობლემა ოჯახების სიშორეა!

ხელისუფლებისა და მთავრობის საზრუნავი უნდა იყოს, შემუშავდეს რეალური პროგრამა დაბრუნების. დღესდღეობით კიდევ ბევრს სურს დატოვოს საქართველო. ეს სიმწარე ხშირად ტკივილიან ლექსებად გვეღვრება სულში:

იყო ემიგრანტი, ეს დიდი ტვირთია,
იყო ემიგრანტი, არ არის ადვილი.
ძალიან რთულია, სადღაც სხვა პოლუსზე
კარგად დაიმკვიდრო შენი ადგილი.
აქ ყველას ერთი ტკივილი სტკივა,
თითქოს სიშორის სუსხისგან სცივა,
აქ თითქოს ყველას დარდი აქვს ერთი:
ნოსტალგია და სამშობლოს ხვედრი.

ნატალი ეგრისელი

პოეტ ირაკლი აბაშიძის საიუბილეოდ

ქართული (საბჭოთა) ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მარადის მოუცლელი იყო, თუმცა მაშინაც კი, როცა ეროვნული ფასეულობები მეორე პლანზე იყო და ყველაფერი სოციალისტურ ყოფას უნდა მორგებოდა, შესანიშნავად ახერხებდა ქართული საქმის კეთებას, ეროვნული იდეალებისადმი უსაზღვრო პატივისცემასა და ერთგულებას. მის ყოველ ლექსში შესანიშნავად იგრძნობა, რომ პოეტი არა და არ მოწყვეტილა წინაპართა ფესვებს. პირიქით, წელთა მატებასთან ერთად ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის დროინდელი ნოსტალგია უღრღნიდა გულს.

ბატონი ირაკლი აბაშიძე ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლის შემოქმედებაშიც სულის საზრდოს დალხინებული მკითხველიც იპოვიდა და გაჭირვებულიც, ერთს შვებას მოჰგვრის, მეორეს კი სიხარულს განუმტკიცებს.

''თუ მის ბიოგრაფიას თვალს შეავლებს კაცი, შეიძლება გაიოცოს, პოეზიისათვის როდისღა იცლიდაო. ირაკლი აბაშიძე რედაქტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს თავკაცი, არაერთი საშვილიშვილო საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი, თუმცა უპირველესად ირაკლი აბაშიძე მაინც პოეტია''. _ ვკითხულობთ მწერლის ერთ-ერთ იუბილესადმი მიძღვნილ მისალმებაში, რომელსაც ხელს საქართველოს მწერალთა კავშირი აწერს.

რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს პოეტის შემოქმედებიდან.

მიახლოება

პოეტის გული _
ხან შმაგი ლომი,
ხან ბეწვის ხიდზე ეტლის ტარება;
პოეტის გული _ ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება.



ალაზანთან

არა, მე ვიცი ბუნების ენა,
ენა ამ სიბრძნის, ამ სილამაზის,
ვიცი, რას ტირის ფოთლების ცვენა,
ვიცი, რას მღერის ტალღა ალაზნის.

ჩვენი ნანგრევები და ჩვენი სიმღერები

ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,
ჩვენი სიმღერები
მაღალ მთებს ჰგვანან,
ჩვენი სიმღერები პირამიდებია _
მათ უკან საუკუნეები დგანან.

...

ვერ შეველიე თბილისის კარებს,
თბილ შემოდგომის ქარვისფერ დარებს,
კრწანისში ძველთა ტკბილ გახსნებას,
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას.
და როგორც ზეცას მზე ჰკრავდა ისრებს,
მივდევდი ბუჩქებს ისევ და ისევ.

110 წელი შეუსრულდებოდა პოეტს. ლევან გაბეჩავა

თითების ტკაცუნს არანაირი საკვალიფიკაციო შედეგი არ მოჰყვება

ერთ-ერთი მეცნიერი 60 წლის განმავლობაში იტკაცუნებდა სახსრებს მხოლოდ ერთ ხელზე, ხოლო მეორეზე _ არა. თავისი ექსპერიმენტის დასასრულს კი ამ ორ ხელს შორის ართრიტის განვითარების დონე ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა.

კატები მიწაზე უსაფრთხოდ ფიზიკის გამო ეშვებიან

კატები თავიანთი სხეულის ორ ნახევარს დამოუკიდებლად იყენებენ იმისთვის, რომ სწრაფად შეძლონ ჰაერში ამოტრიალება (სახლში ნუ გაიმეორებთ!)

დეკანოზ ათანასეს (რუხაძე) გახსენება

ერთი მტანჯველი წელი მიილია, რაც წუთისოფელი დატოვე და მარადისობაში დაიმკვიდრე ადგილი.

გვიმძიმს უშენობა, საოცრად გვაკლიხარ და გვენატრები. უფალმა დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული მართალთა ზეციურ სამყოფელში.

ოჯახი

ნათელა გელეიშვილი დიდი გულისტკივილით იუწყება ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, 70-80-იან წლებში საფთიაქო გაერთიანების ყოფილი მმართველის, საუკეთესო დედისა და ბებიის, ღვაწლმოსილი ქალბატონის

ლეილა თევზაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ჭირისუფალს.

ბევრად უფრო დიდი შანსია, რომ აფეთქებულ ჭუმბარას ხმელეთზე გადაურჩეთ, ვიდრე წყალში

რადგან ჰაერი შეკუმშვადია, აფეთქების მიერ გამოწვეული ტალღა მასში ადვილად იფანტება და ის ნაკლებად გვაზიანებს. ხოლო წყლის შეკუმშვა შეუძლებელია. ამიტომ აფეთქების ტალღა შედარებით უსაფრთხოდ ჩაივლის ჩვენი სხეულის უმეტეს ნაწილში, მაგრამ როდესაც ის ფილტვებსა და ჩვენი სხეულის ჰაერით სავსე ნაწილებს მიაღწევს, ის იქ არსებულ ჰაერს შეკუმშავს და დაგვაზიანებს.

თუ ბურთს გადაგდებისას დავატრიალებთ, გაფრინდება

როდესაც მბრუნავი ობიექტის წინ ჰაერი იმავე მიმართულებით მოძრაობს, რა მიმართულებითაც ობიექტი ბრუნავს, ხდება ობიექტის გარშემო არსებული ჰაერის ნაკადების განცალკევება, ეს კი საბოლოოდ იწვევს იმას, რომ ბურთი გარკვეული მიმართულებით უხვევს. ამ მოვლენას მაგნუსის ეფექტი ეწოდება და ის ხშირად შეიმჩნევა ფეხბურთის ან კალათბურთის თამაშისას.

წყარო: Science Alert
www.on.ge

ვულოცავთ!

ოთარ ჩრდილელს!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ კარიერულ წინსვლას და ოჯახურ ბედნიერებას!

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ გიგანტი ბიბილეიშვილს!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს. ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს!

"სამტრედიის მაცნე"

ბესელიას ესევიან!

დედამიწაზე გლობალური დათბობა სულ მცირე კიდევ 4 წელს გაგრძელდება

ახალი კვლევა ადასტურებს, რომ ექსტრემალური ამინდები სულ ცოტა შემდეგი 4-5 წელი კიდევ გაგრძელდება. ასევე 2022 წლამდე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული გლობალური დათბობის ტენდენცია პროგრესულად გაგრძელდება და მასთან დაკავშირებული კლიმატური ცვლილებებიც ისევ ძალაში დარჩება.

კლიმატის მსგავსი ცვალებადობის პირობებში თანდათან გაიზარდა მოთხოვნა სანდო, დასაყრდნობ პროგნოზზე, რომელიც არა მარტო უახლოესი კვირისა თუ თვის, არამედ მომავალი წლების ტემპერატურასაც გვაცნობს.

ეს აუცილებელია, რათა უკეთ მოვემზადოთ და დათბობის გამო მომძლავრებულ ბუნებრივ კატასტროფებს უკეთ გავუმკლავდეთ. დედამიწაზე ტემპერატურის მატებას უკავშირებენ გახშირებულ წყალდიდობებს, ქარბორბალებს, ხანძრებსა თუ სხვა ბუნებრივ მოვლენებს.

მეცნიერებმა შეიმუშავეს გრძელვადიანი ამინდის პროგნოზის გამომთვლელი ახალი მეთოდი, რომელიც ადასტურებს, რომ ტემპერატურის ინტენსიური, ექსტრემალური ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტემპერატურა ყველგან და ყველასთვის მოიმატებს. _ აღნიშნავენ ახალი კვლევის ავტორები.

მკვლევრების თქმით, მათი პროგნოზი არ ნიშნავს, რომ ევროპაში კიდევ უფრო მეტი ცხელი ჰავის შემოტევა იქნება ან გაიზრდება ხანძრების რაოდენობა ამერიკაში, რომ მოსალოდნელია მეტი გვალვა აფრიკაში თუ ყინულის დნობა არქტიკაში. იმის მიუხედავად, რომ მსგავსი მოვლენების ალბათობა იზრდება, "ჩვენ არ ვაკეთებთ ახალი ცხელი ჰავის პროგნოზს _ თბილი წელი ამას ყოველთვის არ ნიშნავს... პროგნოზი მხოლოდ გლობალურ მაჩვენებელს ეხება, არა რეგიონულ ტემპერატურას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში". _ აღნიშნა ფლორიან სეველეკმა, კვლევის თანაავტორმა.

ამავე დროს, მეცნიერების უახლესი პროგნოზით, ოკეანეების წყლები დედამიწაზე 2022 წლამდე კიდევ უფრო დათბება. ცუდია ის, რომ წყალი გაცილებით სწრაფი ტემპით დათბება, ვიდრე ჰაერი ხმელეთზე, რაც სანაპირო რეგიონებში ტაიფუნების, ქარიშხლებისა და წყალდიდობების ალბათობას კიდევ უფრო გაზრდის.

მკვლევრები ჯერჯერობით თავს იკავებენ 4-5 წელზე უფრო გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთებისგან. მაგრამ ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ ტემპერატურის პროგრესულად მატება 2022 წლის შემდეგაც გაგრძელდეს.

კლიმატურ ცვლილებებზე სამეცნიერო კონსენსუსი დიდი ხანია არსებობს. თუმცა ეს საკითხი პოლიტიკური დაპირისპირებების თემად რჩება და იმის მიუხედავად, რომ ცვლილებებს სამთავრობო სამეცნიერო ორგანიზაციებიც ადასტურებენ, პოლიტიკოსები კლიმატური ცვლილებების არსებობაზე და მის შედეგებთან გამკლავების მეთოდებზე კამათს კვლავ აგრძელებენ.

კლიმატური ცვლილებები დედამიწისთვის ახალი არ არის. მეცნიერები ფიქრობენ, რომ დათბობა დედამიწაზე ბოლო 650 000 წლის განმავლობაში 7-ჯერ მოხდა. მაშინდელი ცვლილებები დედამიწის ორბიტის ცვალებადობასა და მზის ენერგიის მიღების ინტენსივობას უკავშირდებოდა. შესაბამისად, ბოლო 650 000 წელიწადში ყინულის მოცულობამ პლანეტაზე 7-ჯერ იკლო და შემდეგ ისევ გაიზარდა. გამყინვარების ბოლო ეტაპი დედამიწამ 7 ათასი წლის წინ გამოიარა, რის შემდეგაც თანამედროვე კლიმატისა და კაცობრიობის ცივილიზაციის ეპოქა დადგა.

"ახლანდელი დათბობის ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მისი უმეტესი ნაწილი უდიდესი ალბათობით (95%-ზე მეტი) მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დედამიწაზე ადამიანის საქმიანობას უკავშირდება და ის ისეთი ხარისხით ვითარდება, როგორიც უპრეცედენტოა დეკადებიდან საუკუნემდე". _ ამბობს "NASA-ს" შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსის კვლევის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი.

imedinews.ge

თამილა ნიკურაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მშვენიერო ქალბატონო! 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას _ განსაკუთრებულ ქრისტიანულ დღესასწაულზე დაბადებულს ქრისტესა და ყველა წმინდანის მფარველობა გაძლიერებდეს. გვიყვარხარ, გვეამაყები და გვეიმედები, ერთგულო ადამიანო. ოჯახური სიმშვიდე და ბედნიერება შენი მომავლის ნათელი საწინდარი იყოს. წარმატებებს გისურვებთ საზოგადოებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში!

შენი მეგობრები
ქეთევან ჭელიძე და ნინო ნანიტაშვილი

ანანო მიქაძეს!

ბებოს და ბაბუს სიცოცხლის წყაროვ, ჩვენი დღეების გამცისკროვნებელო, სიყვარულისა და ბედნიერების სათავევ, ნიჭიერო და სხარტო გოგო!

6 წლის შესრულებას გილოცავთ, გისურვებთ ლამაზ და ბედნიერ მომავალს, უამრავ ქარვისფერ შემოდგომას შეგებებოდე, უფალი გფარავდეს და გაძლიერებდეს!

გვიყვარხარ და გვეამაყები ჩვენო საფიცარო გოგო!

გეგია და ბაბუა

მარი წიქვაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო მარი! უფლის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეს. კარგ სწავლასა და ნათელ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ!

ირა გეგია ოჯახით

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა